ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge



გვ.5

14-დან 17-წლამდე ასაკის ყოველი მეხუთე მოქალაქე აზარტულ თამაშებშია ჩართული

213-ე ბაღის ძარცვაში 6-7 წლის ბავშვები მონაწილეობდნენ



გვ.5

სამშაბათი, 20 სექტემბერი, 2022 №185 (8963) ფასი: 80 თეთრი

# „კობახიძის განცხადებაში სისხლის სამართლის დანაშაულია“



გვ.2

გია ხუხაშვილი: „ცოტა მეც გავაკრიტიკებ ამერიკულ პოლიტიკას...“





„რა აზრი აქვს ვადამდელს?! უკვე სადაცაა მოვიდა ვადიანი არჩევნების დროს“

## „ოპოზიციას თუ სურს, რომ საერთოდ არ გაქრნენ, უნდა გაერთიანდნენ“



გვ.3

სოსო ცინცაძე: „არჩევნებზე მაღალი ბარიერი მხოლოდ ორ პარტიას „ქართულ ოცნებას“ და ნაციონალურ მოძრაობას აწყობს“



გვ.3

„ხალხის ძალა“: „რა მიზნით გამოყოფს აშშ საქართველოსთვის დახმარებას“

ამერიკაში ღარიბაშვილის შეხვედრების მთავარი თემა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და რეგიონული უსაფრთხოების საკითხებია



გვ.2

## თამარ ჩერგოლეიშვილი: „სააკაშვილს მივმართავ და ეგებ ვინმემ გადასცეს“



გვ.4



გვ.4

## რუსეთის შეიარაღებული ფორმირებები შეიძლება ერთმანეთს დაერიონ

2 მამუკა მდინარაძე: „ომბუდსმენის არჩევისას კენჭისყრის ღიაობას მხარს დავუჭერთ“

4 პრემიერ-მინისტრი დაზვერვის სამსახურის თანამშრომლებს პროფესიულ დღეს ულოცავს

6 ჯო ბაიდენი: „კორონავირუსის პანდემია დასრულდა“

6 მძარცველი შეცდომით პოლიციელს დაესხა თავს და თავი ციხეში ამოყო

# „კობახიძის განცხადებაში სისხლის სამართლის დანაშაულია“

## გია ხუხაშვილი: „ცოტა მეც გავაკრიტიკებ ამერიკულ პოლიტიკას...“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი გია ხუხაშვილი პასუხობს.

***— ბატონო გია, ვისმენთ შეფასებებს, რომ ამ ყველაფრის მიუხედავად, მაინც დიდია ინტერესი ამერიკის მხრიდან. ის რჩება ჩვენს მთავარ მოკავშირედ?***

— რა თქმა უნდა, რჩება. ახლა მიდის დიდი გლობალური ომი. არავის არ უნდა აქტივის დაკარგვა. ფრონტის ხაზია გატარებული. ყველა ეძებს მოკავშირეებს და არა მტრებს. ჩვენ რა, თუკი დასავლეთი ხელს გვკრავს, მივდივართ რუსეთში. შესაბამისად, არ უნდა დასავლეთს ჩვენი დაკარგვა.

***— პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ვიზიტით შეერთებულ შტატებში იმყოფება. რა გზავნილები შეიძლება ჩამოიტანოს და სიტუაციის როგორ განვითარებას ელით?***

— რა არის იცით, ამას ჩვენ ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტს ვერ დავარქმევთ. იმიტომ, რომ იმ ფონზე, როდესაც ხელისუფლების ორბიტიდან ამერიკის მიმართ უმძიმესი ბრალდებები ისმის, ღარიბაშვილს მაინცდამაინც დალხენილი ყოფა იქ არ ექნება. ეს არის მისი ვიზიტი გაეროში. ცარიელ დარბაზს მიმართავს და აქ კი გვეტყვიან, რომ ძალიან მნიშვნელოვანი რაღაც მოხდა. ტროიკა თუ მოუსმენს მის გამოსვლას. აი ეს არის და მეტი არაფერი. საერთოდ ჩვენ, პრემიერების ამერიკაში ვიზიტი ცუდად გვაქვს დაცდილი. ყველა პრემიერი, ამერიკაში ვიზიტის შემდეგ გადააყენეს და სახლში გაუშვეს. ასე რომ, რა გითხრათ, აბა!

***— გაქვთ მოლოდინი, რომ შეცვლის ივანიშვილი ირაკლი ღარიბაშვილს?***

— მე რომ გითხრათ, ამას რაიმე სერიოზული მნიშვნელობა აქვს, შეცვლიან თუ არა, ასე არ არის. რა მნიშვნელობა აქვს, ვინ იქნება პრემიერ-მინისტრი ხომ?! ჩვენთან ხომ ის ინსტიტუციური წესრიგი არ არის, სადაც პრემიერ-მინისტრის ცვლილება რაიმე ცვლილებას ნიშნავს. ძალის ცენტრი, გადაწყვეტილების მიღების ცენტრი და ინსტიტუციური ცენტრები, სხვადასხვაგან არის. შესაბამისად, ქიბროწაშვილი იქნება თუ პეტრიაშვილი პრემიერ-მინისტრი, არანაირი მნიშვნელობა ამას არა აქვს, თუ სისტემა იგივე დარჩა, რაც არის.

ვფიქრობ, რომ ღარიბაშვილს სერიოზულად შეაჯანჯლარებენ, თუკი მას გაუჩნდება სურვილი ვაშინგტონში საუბრების. მე არ გამოვრიცხავ, რომ მან საერთოდ აარიდოს თავი სერიოზულ პოლიტიკურ ფიგურებთან შეხვედრებს. ხომ ვნახეთ საელჩოს დღევანდელი და გუშინდელი განცხადება? იქ ჩანს ყველაფერი, თუ როგორ დახვდებიან მას ვაშინგტონში. ეს მძიმე ფონიც თვითონ შექმნეს, ამერიკას რა არ დააბრალეს. თუკი რამე უბედურებაა, ყველაფერი ამერიკას დააბრალეს.



### „რა აზრი აქვს ვადამდელს?! უკვე სადაცაა მოვიდა ვადიანი არჩევნების დროც“

***— ჩვენი ხელისუფლება მაინც თავისას მიერეკება. სულ იყო მოლოდინი, რომ ბოლო პერიოდში მაინც შეიცვლიდნენ კურსს.***

— ამ ხელისუფლებას არა აქვს არანაირი ხედვა. რამეზე აპელირება ძნელია. ხელისუფლებას აქვს ერთადერთი ინტერესი, ძალაუფლება. არც პრორუსები არიან და არც პროდასავლელები. ძალაუფლების შენარჩუნების გარდა, არაფერი აინტერესებთ. შესაბამისად იქცევიან ისე, როგორც იქცევიან.

***— ამერიკის ინტერესებზე ვსაუბრობთ და ვისმენთ შეფასებებს, რომ პელოსის ვიზიტი სომხეთში მიგვანიშნებს, რომ მათი ინტერესი კავკასიის რეგიონში საკმაოდ დიდიაო.***

— კი, დიდია, მაგრამ ახლა ცოტა მეც გავაკრიტიკებ ამერიკულ პოლიტიკას, იმიტომ, რომ თუ რეგიონში მათ უნდათ რაღაც სერიოზული მონაწილეობის მიღება, ასე ცალმხრივი ვიზიტები არაფრის კარგის მომტანი არ არის. ის რომ ჩასულიყო აზერბაიჯანშიც, მაშინ ამაში იქნებოდა რაღაც ლოგიკა. როდესაც შენ ჩადიხარ სომხეთში და ეს აღიქმება აზერბაიჯანში, როგორც სომხეთისთვის მხარდაჭერა, მე ვფიქრობ, რომ რეგიონული პოზიციების გასაძლიერებლად, ეს არცთუ სწორი ნაბიჯია.

***— რამდენად სახიფათო სიტუაცია შეიძლება შეიქმნას ჩვენთვის?***

— რეგიონში რთული სიტუაციაა. დღეს აზერბაიჯანი დაკავებულია ტერიტორიების დაბრუნებით, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენით და იმ პრობლემების გადაწყვეტით, რაც მას აქვს. საერთაშორისოდ აღიარებულ ფარგლებში, ის მოქმედებს აბსოლუტურად კანონიერად.



***— ასეთი მწვავე სიტუაციაა რეგიონში და ამ დროს სად არის და რას ფიქრობს ჩვენი ხელისუფლება?***

— საერთოდ არაფერზე არ ფიქრობენ, მხოლოდ ძალაუფლებაზე და მე და თქვენ როგორ მოგვისმინონ, იმაზე ფიქრობენ. მეტი მათ არც ინტელექტი ყოფნით და არც ხედვები. რუსულ არხებს უყურებენ და დღემდე ჰგონიათ, რომ რუსეთი იგებს ომს.

***— ამ მოსმენებზე დიდი ამბავია. თუმცა ხელისუფლება გაიძახის, მაშინ დაგვიმტკიცეთ, რომ გისმენთ, დადეთ მტკიცებულებებიო.***

— ხომ წარმოგიდგენიათ, საერთოდ სადა ვართ. დანაშაულთა მტკიცებულება არის საგამოძიებო ორგანოების კომპეტენცია. საგამოძიებო ორგანოებზე კი თვითონ აქვთ მონოპოლია. და როგორ უნდა დაუმტკიცოს ოპოზიციამ ან ვიღაცამ ხელისუფლებას რაღაცა, თუ გამოძიება არ ჩატარდა და გამოძიებას კიდევ არ ატარებენ.

***— მარტო სოსო გოგაშვილის განცხადებების გამო უნდა დაწყებულიყო გამოძიება, ისეთ განცხადებებს აკეთებს.***

— რა თქმა უნდა! ხელისუფლებას აქვს ვალდებულება, რომ თავის თავზე აიღოს მტკიცების ტვირთი. მან უნდა ამტკიცოს, რომ ეს ბრალდება არის ტყუილი! პოლიტიკური განცხადებები კი არ უნდა აკეთოს და თავიდან კი არ უნდა აიცილოს. თუკი ის თვლის, რომ უდანაშაულოა და ცილს სწამებენ, სწორედ ასეთი წესიერი ხელისუფლების ინტერესებშია გამოძიების ჩატარება და თუ ის უდანაშაულოა, ამის დამტკიცება! ისინი ამას არ აკეთებენ და აქეთ ითხოვენ, დაგვიმტკიცეო. გამოძიების გარეშე ეს ყველაფერი როგორ უნდა დამტკიცდეს?! გამოძიება კი ამათ ხელშია და აბა რანაირად?!

***— ბატონო გია, ამ ყველაფრის ფონზე, როგორ გამოიყურება ოპოზიცია? ბოლო კვლევების მიხედვით, მათი რეიტინგი ძალიან მძიმე სიტუაციაშია.***

— ოპოზიციას კიდევ თავის პრობლემა აქვს. სამწუხაროდ, ჩვენ გვაქვს მთელი პოლიტიკური ელიტის კრიზისი. სახელისუფლო ოპოზიცია, ხალხი ცხოვრობს თავისი პრობლემებით და თავის ცხოვრებით და პოლიტიკური ელიტა ცხოვრობს თავისი დღის წესრიგით. სამწუხაროდ, ხიდია ჩატეხილი ხალხსა და პოლიტიკურ ელიტას შორის.

***— ცხელი შემოდგომა, ვადამდელი არჩევნები, საერთოდ შეთანხმდებიან რამეზე?***

— ჯერჯერობით ამინდის პროგნოზი ამართლებს და გვაქვს ცხელი შემოდგომა. ალბათ ამინდს გულისხმობდნენ. მერე წვიმები დაიწყება და წვიმებში ხომ არ დადგებიან ქუჩაში, მერე აცივდება და სიცივეში ხომ არ იმუშავებენ. მიზეზი არ გამოელევათ. ოპოზიცია არის ძალიან არათანმიმდევრული და ამით სარგებლობს ხელისუფლება.

***— გაქვთ ვადამდელის მოლოდინი?***

— რა აზრი აქვს ვადამდელს?! უკვე სადაცაა მოვიდა ვადიანი არჩევნების დროც.

***— ბატონო გია, საუბრისას ახსენეთ, რომ აზერბაიჯანი მოქმედებს კანონის ფარგლებში და დაკავებულია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისკენო. როდესაც ჩვენს ხელისუფლებას ამ კუთხით მუშაობა მოსთხოვეს, კობახიძემ პარალელად რუსეთ-უკრაინის ომი მოიყვანა და მოგწონთ, რუსეთი რასაც აკეთებს უკრაინაშიო, იკითხა ცინიკურად. რატომ გაავლო ასეთი არასწორი პარალელი?***

— არც კი ვიცი, რა ვთქვა. რუს პროპაგანდისტებსაც კი ფანტაზია არ ეყოთ, რომ ამ დონის, პირდაპირ გეტყვით, დანაშაულებრივი შეცდომა დაეშვათ. მე კობახიძის ამ განცხადებაში სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებიც დავინახე. ფაქტობრივად, მან ირიბად აღიარა ე.წ. სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის სუვერენიტეტი, როდესაც მან ეს ცნობილი განცხადება გააკეთა. ეს კი სისხლის სამართლის დანაშაულია ჩემი გაგებით. მით უმეტეს, როდესაც ეს ისმის მმართველი პარტიის თავმჯდომარისგან, საერთოდ რა უნდა ვთქვათ.

## ამერიკაში ღარიბაშვილის შეხვედრების მთავარი თემა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და რეგიონული უსაფრთხოების საკითხებია



„ნიუ-იორკში პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის შეხვედრების მთავარ დღის წესრიგში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და რეგიონული უსაფრთხოების საკითხები იქნება, — ამის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა დავით ბაქრაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა. ელჩის თქმით, საქართველოს მთავრობის მეთაური გაეროს 77-ე სესიის გახსნას დაესწრება, მოგვიანებით კი გენერალური დებატების დროს მსოფლიო ლიდერებს სიტყვით მიმართავს.

— საქართველოს პრემიერ-მინისტრი და საქართველოს დელეგაცია უკვე ნიუ-იორკშია. ხვალ გაიხსნება უკვე გაეროს 77-ე სესია, რომელსაც, რა თქმა უნდა, დაესწრება და გენერალური დებატების დროს მსოფლიო ლიდერებს სიტყვით მიმართავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. ამის პარალელურად, იმართება არაერთი შეხვედრა, რომელშიც საქართველოს დელეგაცია მიიღებს მონაწილეობას. რა თქმა უნდა, დაგეგმილია ორმხრივი შეხვედრები. ძალიან მნიშვნელოვანი პერიოდია, გამომდინარე იქიდან, რომ მსოფლიო საზოგადოება ძალიან ბევრი გამოწვევის წინაშე დგას, იქნება ეს უსაფრთხოების, მდგრადი ეკონომიკური განვითარების, ენერგოუსაფრთხოების თუ სხვა მიმართულებით. რა თქმა უნდა, ეს საკითხები, გამომდინარე ჩვენი გამოწვევებიდან, როგორიც არის ტერიტორიული მთლიანობა, რეგიონული უსაფრთხოების საკითხები, იქნება საქართველოს პრემიერ-მინისტრის, საქართველოს დელეგაციის შეხვედრების და საუბრების მთავარ დღის წესრიგში, — განაცხადა დავით ბაქრაძემ.

საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ხელმძღვანელობს, საგარეო საქმეთა მინისტრი ილია დარჩიაშვილი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი მიხეილ ჩხენკელი და მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი რევაზ ჯაველიძე არიან.

## მამუკა მდინარაძე: „ომბუდსმენის არჩევისას კენჭისყრის ღიაობას მხარს დავუჭერთ“



— ჩვენ მხარს დავუჭერთ საპარლამენტო ოპოზიციიდან ლევან იოსელიანის წინადადებას, რომლის მიხედვითაც, ომბუდსმენის არჩევის დროს კენჭისყრა უნდა იყოს ღია, — ამის შესახებ „ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა მამუკა მდინარაძემ საპარლამენტო უმრავლესობის სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა.

მისი თქმით, აღნიშნულ საკითხს პარლამენტში ხვალ განიხილავენ.

— კომიტეტის თავმჯდომარეები აირჩევიან ხვალ, საუბარია იმ კანდიდატებზე, რომლებიც „ქართულმა ოცნებამ“ წარადგინა. მესამე საკითხი იყო რეგლამენტში ცვლილებები. ევრორეკომენდაციის შესაბამისად, საპარლამენტო ზედამხედველობის ხარისხზეა საუბარი, საპარლამენტო პოლიტიკურმა ჯგუფებმა, მათ შორის საპროცედურო კომიტეტმა იმუშავა, შევა არაერთი ცვლილება.

ასევე, ჩვენ მხარს დავუჭერთ საპარლამენტო ოპოზიციიდან ლევან იოსელიანის წინადადებას, რომლის მიხედვითაც, ომბუდსმენის არჩევის დროს კენჭისყრა უნდა იყოს ღია. ამასთან დაკავშირებით პირადად ჩემი პოზიცია იყო, რომ სხვა თანამდებობის პირების არჩევის დროსაც იყოს ღია კენჭისყრა. ამ საკითხს ხვალ დავაყენებ. შემდეგი საკითხი იყო ასევე ევრორეკომენდაცია, საუბარი სტრასბურის პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანაზე და აქაც, პრინციპში, თითქმის ყველა შენიშვნა ენჯეო სექტორიდან იქნა გათვალისწინებული და უამრავი ცვლილება შედის შესაბამის კანონში. ამასთან, პარასკევს იქნება ინტერპელაცია ჯანდაცვის მინისტრთან, — განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი — სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური — კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური — 599-532-690
დირექტორი — ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური — მერაბ ლეჟავაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ოპოზიციას თუ სურს, რომ საერთოდ არ გაქრნენ, უნდა გაერთიანდნენ“

## სოსო ცინცაძე: „არჩევნებზე მაღალი ბარიერი მხოლოდ ორ პარტიას „ქართულ ოცნებას“ და ნაციონალურ მოძრაობას აწყობს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ოპოზიციური პარტიების „ლელოს“, „გირჩი-მეტი თავისუფლებას“, „სტრატეგია აღმაშენებლის“, „დროას“ შესაძლო გაერთიანებაზე საუბრობს.

***– ბატონო სოსო, აღნიშნულ ინფორმაციას გიორგი ვაშაძე გამოეხმაურა, რომლის განცხადებითაც საუბარია არა კოალიციის შექმნაზე, არამედ პროდასავლელი ძალების თანამშრომლობაზე. რამდენად რეალურია ასეთი ერთობა?***

– ეს იქნებოდა ყველაზე ჭკვიანური, ყველაზე საჭირო, მეტიც, სასიცოცხლო მნიშვნელობის გადაწყვეტილება ოპოზიციური ძალებისთვის, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩემი ძალიან ხანგრძლივი გამოცდილებიდან შემიძლია გითხრათ, ვშიშობ, მხოლოდ კეთილ სურვილებადღა დარჩეს.

რატომღაც, რაც უფრო სუსტია პარტია, რაც უფრო ნაკლები ელექტორალური მხარდაჭერა აქვს, მით უფრო ამბიციურია და მით უფრო მეტი მოთხოვნები გააჩნია დანარჩენებთან. როდესაც, ასეთ გაერთიანებაზე მიდგება საუბარი და საქმე უნდა მივიდეს ლოგიკურ დასასრულამდე, კონკრეტული მექანიზმების შემუშავებისას ეს პარტიები ყველაზე მეტს ითხოვენ. ითხოვენ პარლამენტის გამსვლელ სიებში ყველაზე მეტ ადგილს, მინისტრთა პორტფელებიდან ყველაზე მეტს თუ არა საკვანძო პორტფელებს და ა.შ. ამიტომ გვაქვს ის რეალობა, რომელიც გვაქვს – დაქუცმაცებული, ერთმანეთზე გადაკიდებული ოპოზიციური პარტიები. ამიტომ, ეჭვი მეპარება, ეს მშვენიერი, სასიცოცხლო მნიშვნელობის იდეაც, ტრადიციული იწილო-ბიწილოთი არ დასრულდეს.

***– შეიძლება ოპოზიცია ხვდება, რომ რაღაც ახალი უნდა მოიფიქროს, რომ ტაქტიკა უნდა შეცვალოს?***

– დიახ, რასაკვირველია, ამაზე ფიქრობენ. ისინი ხვდებიან, რომ ასე შორს ვერ წავლენ და ამიტომ საუკეთესო დასკვნამდე მიდიან, ლოგიკურ დასკვნამდე, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს სწორი განცხადებები მხოლოდ განცხადებებად რომ რჩება, ეს არის პრობლემა.

2020 წლიდან უკვე უნდა ეზრუნა ოპოზიციას ახალი ტაქტიკისთვის. ახალი კოალიციებისთვის, ახალი ერთობისთვის, რომ რეალური კონკურენცია გაეწია „ქართული ოცნებისთვის“. ზოგჯერ ვფიქრობ, უკვე ძალიან გვიან ხომ არ არის?! თუ ახლა მაინც არ მოიფიქრებენ რაიმე ახალს,



**„რაც უფრო სუსტია პარტია, რაც უფრო ნაკლები ელექტორალური მხარდაჭერა აქვს, მით უფრო ამბიციურია და მით უფრო მეტი მოთხოვნები აქვს დანარჩენებთან“**

თუ არ გადადგამენ ნაბიჯს მეტი ერთობისკენ, მეტი კოალიციურობისკენ, პოლიტიკურ არენაზეც კი გაუჭირდებათ დარჩენა ართუ ხელისუფლებაში მოსვლა და გამარჯვება.

ოდნავ მაინც თუ შერჩათ გონიერება, რაციონალური აზროვნება, რომ საერთოდ არ გაქრნენ და დარჩნენ პოლიტიკურ ველზე, თავი უნდა დაანებონ ცოცხალი დათვის ტყავის გაყოფას.

***– 2024 წლისთვის როგორ წარმოგიდგენიათ პოლიტიკური ველი, როგორი პოლიტიკური კონფიგურაცია შეიძლება მივიღოთ წინასაარჩევნოდ?***

– თუ ისევ ჩემს გამოცდილებას დავეყრდნობი, მაშინ კვლავ ორი მთავარი ძალა იქნება წარმოდგენილი არჩევნების ფინალში. ნაციონალურ მოძრაობასა და „ქართულ ოცნებას“ შორის იქნება გადამწყვეტი ბრძოლა, თუ მანამდე რაიმე არ შეიცვალა. ასევე, ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება, როგორი იქნება საარჩევნო კანონი, საარჩევნო ბარიერი. თუ ბარიერი იქნება ისევ მაღალი – 5%, მაშინ როგორც აქამდე იყო, ისე იქნება ნაციონალებსა და „ოცნებას“ შორის დაპირისპირება და ისინი გაიყოფენ ხმებს, მაგრამ თუ შეიცვლება საარჩევნო კანონი და გადავალთ სრულად პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე და ბარიერიც იქნება ან ბუნებრივი, ან სიმბოლური ერთპროცენტიანი, თუნდაც ორპროცენტიანი, მაშინ რეალობა შეიცვლება.

***– მაღალი ბარიერის შემთხვევაში კოალიციები უფრო მეტი არ უნდა იყოს?***

– რა თქმა უნდა, ლოგიკურად ასეა, რომ ერთმანეთს არ წაართვან ხმები და საერთოდ ხმები არ დაიფანტოს. ყველა წვრილი პარტია ერთ კოალიციად უნდა გამოვიდეს. ყველა თუ არა, ერთნაირი შეხედულებებისა და საერთო იდეების მქონე ძალები უნდა გაერთიანდნენ, მაგრამ არ ვიცი, ლიდერომანიით შეპყრობილ ხალხს ამის გაკეთება ძალიან გაუჭირდება. თუმცა, პირადად მე ლიდერის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს.

მაღალი ბარიერი მხოლოდ ორ პარტიას „ქართულ ოცნებას“ და ნაციონალურ მოძრაობას აწყობს. ამ შემთხვევაში მხოლოდ ამ ორ ძალას შორის იქნება მთავარი დაპირისპირება. ამიტომ გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება, იმ დროისთვის როგორი იქნება საარჩევნო კანონმდებლობა, საარჩევნო ბარიერი. ამიტომ, სიმართლე გითხრათ, ძალიან მიკვირს იმ წვრილი პარტიების, რომლებიც დღეს მართალია თითო-ოროლა კაცით, მაგრამ არიან პარლამენტში წარმოდგენილები და რატომ არ იბრძვიან საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილებისთვის. გასაგებია, რომ ეს არის კონსტიტუციური კანონი და კონსტიტუციური უმრავლესობაა საჭირო (რომელიც არც ერთ პარტიას არ აქვს), მაგრამ პოლიტიკური ბრძოლა ყველა შემთხვევაში საჭირო არის.

# „ხალხის ძალა“: „რა მიზნით გამოყოფს აშშ საქართველოსთვის დახმარებას“



საზოგადოებრივი მოძრაობა „ხალხის ძალა“ განცხადებას ავრცელებს. პარლამენტის წევრების: სოზარ სუბარის, დიმიტრი ხუნდაძის, გურამ მაჭარაშვილისა და მიხეილ ყაველაშვილის განცხადებით, საზოგადოება უნდა დაინტერესდეს, თუ რა მიზნით გამოყოფდა ამერიკის ხელისუფლება საქართველოზე თანხებს და რა ინტერესის საპირწონედ გვახსენებენ დღეს ასე ხშირად ე.წ. 6-მილიარდიან დახმარებას.

– უკანასკნელი თვეების განმავლობაში ამერიკის საელჩო ხშირად გვახსენებს, რომ მისი სახელმწიფო საქართველოს გასული 30 წლის მანძილზე 6 მილიარდი დოლარით დაეხმარა. არსებობს გამონათქვამი, რომ ნაჩუქარ ცხენს კბილი არ ესინჯება, ანუ როდესაც რაღაცას გჩუქნიან, ამ საჩუქრის რეალური ღირებულების განხილვაში, წესით, საერთოდ არ უნდა შეხვიდე. თუმცა, ყველას ძალიან კარგად გვესმის, რომ ამერიკის შეერთებული შტატები საქველმოქმედო ორგანიზაცია არაა, შესაბამისად, არავის არაფერს ჩუქნის და სხვა ქვეყნებისთვის თანხის გამოყოფისას, საკუთარი ინტერესების კარნახით მოქმედებს. აქედან გამომდინარე, მთავარი, რითაც საზოგადოება უნდა დაინტერესდეს, არის ის, თუ რა მიზნით გამოყოფდა ამერიკის ხელისუფლება საქართველოზე თანხებს და რა ინტერესის საპირწონედ გვახსენებენ დღეს ასე ხშირად ე.წ. 6-მილიარდიან დახმარებას.

მაგალითისათვის, თუ ამ დაფინანსებას საქართველოში მეორე ფრონტის გახსნის ინტერესის საპირწონედ გვახსენებენ, ცხადია, ვერავითარი 6 მილიარდი ვერ ჩაანაცვლებს იმ ზიანს, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ რუსეთთან ომით შეიძლება მიიღოს. ყველას გვახსოვს, რომ 2008 წლის ომით საქართველომ, დაკარგულ ტერიტორიებთან და ადამიანურ მსხვერპლთან ერთად, რამდენიმე მილიარდი დოლარის ზარალი მიიღო.

თუ გვეტყვიან, რომ ქვეყანა რამდენიმე მილიარდით დემოკრატიის განსამტკიცებლად დააფინანსეს, ამაზე სერიოზულ კომენტარსაც კი ვერ გავაკეთებთ. დემოკრატიის ის მოდელი, რომელიც ამერიკელებმა სააკაშვილის რეჟიმის მაგალითზე ძალიან მძიმედ დაგვამახსოვრეს, თავისი შინაარსით სულ სხვა არსის მატარებელია, მაგრამ ამ მოდელზე დღეს არ შევჩერდებით და ამ თემას სამომავლოდ შემოვინახავთ.

საქართველო არის მოაზრებული გარკვეული როლისთვის, რომელიც მან საელჩოს კარნახით უნდა შეასრულოს და ყველაზე საინტერესო სწორედ ამ როლის გაანალიზებაა. ფაქტია, რომ მათთვის ჩვენი ერთადერთი ფუნქცია რუსეთის შეკავებაა. ამ ფუნქციისთვის ამზადებდნენ წლების მანძილზე ისინი უკრაინასა და საქართველოს, თუმცა, საქართველოს ხელისუფლება ქვეყნის განადგურებაზე არ წავიდა, რასაც ამერიკელები ვერაფრით გვპატიობენ.

დაფინანსების კუთხით, რამდენიმე ფაქტორია განსაკუთრებით საინტერესო:

ამერიკელების მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური მონაცემების მიხედვით, 30 წლის მანძილზე საქართველოს ამერიკულმა დაფინანსებამ, ელჩის მიერ ნათქვამისგან განსხვავებით, არა 6 მილიარდ დოლარზე მეტი, არამედ 4,5 მილიარდი შეადგინა, საიდანაც საქართველოში რეალურად მხოლოდ 3,5 მილიარდი გადმოირიცხა;

– 2013-2021 წლებში, ანუ ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ, ამერიკულმა დაფინანსებამ მხოლოდ 1,15 მილიარდი დოლარი შეადგინა, საიდანაც 200 მილიონზე მეტი 2008 წლის ომის მძიმე შედეგების ნაწილობრივი ლიკვიდაციისთვის გამოყოფილი სპეციალური დაფინანსების ნარჩენი თანხა იყო. შედარებისთვის, სააკაშვილის ავტორიტარული რეჟიმის პერიოდში, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საქართველოს ხელისუფლება 2,23 მილიარდი დოლარით, ანუ ორჯერ მეტი თანხით დააფინანსა. აქედან, ყველაზე დიდი თანხები 2006 წელს (411 მილიონი) და 2009 წელს (625 მილიონი) იქნა გამოყოფილი;

ამერიკული თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი – 700 მილიონ დოლარზე მეტი, ენჯეოების საქმიანობას, მათ შორის, სახელმწიფოს და ეკლესიის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიებს მოხმარდა. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ამერიკული დაფინანსების ყველაზე დიდი წილი სწორედ ენჯეოებზე, ანუ, არსებითად ამერიკული აგენტურის შენახვაზე მოდის, რაც, ძალიან რბილად რომ ვთქვათ, საქართველოს დახმარებად ვერაფრით ჩაითვლება;

გასული წლების განმავლობაში, ამერიკელების მიერ დადგენილი სტანდარტის შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლება თავდაცვაზე სახელმწიფო ბიუჯეტის 2 პროცენტს გამოყოფდა, რაც ქვეყანას, ბუნებრივია, სერიოზულ ტვირთად აწვება. რაც მთავარია, ერაყისა და ავღანეთის მისიებში 30 ათასზე მეტმა ქართველმა სამხედრომ იმსახურა, რითაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საქართველოსგან ზუსტად 2,5 მილიარდი დოლარის ღირებულების მხარდაჭერა მიიღო (ამერიკელების მიერ ერთ ამერიკელ სამხედროზე დახარჯულ თანხას ქართველი სამხედროების რაოდენობაზე თუ გავამრავლებთ, სწორედ 2,5 მილიარდ დოლარს მივიღებთ).

საქართველოს მიერ გაღებულ ადამიანურ მსხვერპლზე, რომელიც შეუფასებელია, ბუნებრივია, აღარაფერს ვამბობთ. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, საკითხავია, 2013 წლიდან დღემდე საქართველომ უფრო მეტი მატერიალური სარგებელი მიიღო ამერიკისგან თუ ამერიკამ საქართველოსგან.

თუ ჩვენ მიერ მოყვანილი რომელიმე მონაცემი არაზუსტია, მოვუწოდებთ საელჩოს, გამოაქვეყნოს დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა პრინციპით და რა მიზნობრიობით გამოიყოფოდა ამერიკული დაფინანსება საქართველოზე გასული წლების განმავლობაში, მათ შორის, გამოყოფილი დაფინანსებიდან, რეალურად რა თანხა დარჩა საქართველოში და რა თანხა დაბრუნდა ამერიკაში. სამწუხაროდ, საელჩოს მიერ დღემდე გამოქვეყნებული ინფორმაცია ძალზე მწირია და ქართულ საზოგადოებას დაფინანსების დეტალების შესახებ მკაფიო წარმოდგენას არ უქმნის, რაც ჩვენს უარყოფით ეჭვებს კიდევ უფრო აღრმავებს.

საზოგადოებას კარგად ახსოვს, როგორ აშანტაჟებდნენ საქართველოს ხელისუფლებას შარშან ევროკავშირის 75-მილიონიანი სესხის არგამოყოფით. ამერიკული დაფინანსება სახელმწიფოსთვის და მისი ეკონომიკური გაძლიერებისთვის რაიმე სერიოზული შედეგის მომტანი რომ იყოს, ბუნებრივია, მისი გაჩერებით დღემდე არაერთხელ დაგვემუქრებოდნენ. ეს რომ ასე არ ხდება, ჩვენთვის იმის დამატებითი მტკიცებულებაა, რომ დაფინანსების უდიდესი ნაწილი არც ქვეყნის განვითარებისთვის და არც სახელისუფლო სისტემის გამყარებისთვის არ არის განკუთვნილი და ის, უმეტესწილად, სწორედ საქართველოში ამერიკული ინტერესების გატარებას ხმარდება. აქედან გამონაკლისი იყო დაფინანსების რამდენიმე კომპონენტი – მაგალითად, მცირე მასშტაბის ეკონომიკური პროექტების განსახორციელებლად გამოყოფილი თანხები, ამერიკის შეერთებულ შტატებში სტუდენტების სწავლის დაფინანსება, აგრეთვე ათასწლეულის გამოწვევის ფონდის ხაზით გამოყოფილი დაფინანსება, რომელიც განათლების სფეროს მოხმარდა (თუმცა, განათლების სფეროში ამერიკულმა ინტერვენციამ ჩვენს ქვეყანას, ზოგადად, რა მოუტანა, ამაზე დღეს არ შევჩერდებით და ამ თემას ყველაზე გვიან გავშლით).

ჩვენ მიერ განმარტებული ყველა გარემოება იმაზე მიანიშნებს, რომ ამერიკელები საქართველოს განვითარებაში რეალურ ინვესტიციას არ დებენ და მეტიც, მათ საქართველოდან მიიღეს 2,5 მილიარდი დოლარის ღირებულების მატერიალური სარგებელი. ამერიკული დაფინანსება საქართველოში არა დემოკრატიული სისტემის განმტკიცებისკენ, არამედ სწორედ მისი შერყევისკენ რომ არის მიმართული, ეს უკვე ვთქვით და ამაზე მოგვიანებით საზოგადოებას ბევრად მეტ ინფორმაციას მივაწვდით.

ბოლოს, კიდევ ერთხელ გვსურს დავუსვათ საელჩოს შეკითხვა, რა არის მისი მთავარი სტრატეგიული ამოცანა, როდესაც საქართველოზე ფინანსებს გამოყოფს და ამ დაფინანსების დანიშნულებას განსაზღვრავს. საინტერესო იქნება, საელჩომ თავისი სტრატეგიული ამოცანის ჭრილში წარუდგინოს ქართველ საზოგადოებას დეტალური ინფორმაცია გამოყოფილი თანხების დანიშნულების შესახებ. დარწმუნებული ვართ, ამგვარი დეტალური ინფორმაცია საზოგადოებამ რომ მიიღოს, მისთვის ნათელი გახდება, რომ დაფინანსების გამოყოფისას, ამერიკელებს არა ქველმოქმედებისა და საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობის ხელშეწყობის მოტივი, არამედ საკუთარი აგენტების გავლენის გაფართოების ინტერესი ამოძრავებთ, რომლებმაც საქართველო, უკრაინასთან ერთად, გლობალური ამერიკული სცენარის თვალდახუჭულ თანაალმსრულებლად უნდა აქციონ.

კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ ამერიკის საელჩოს მეტი გამჭვირვალობისა და დაფინანსებასთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაციის გასაჯაროებისკენ. თუმცა, ოპტიმიზმის საფუძველი ნაკლებად გვაქვს, რადგან ზუსტად ვიცით, რომ ამ ინფორმაციის გასაჯაროება ქართველი საზოგადოების აღქმაში სწორედ ჩვენ მიერ გამოტანილ შემაშფოთებელ დასკვნებს გაამყარებს, – ნათქვამია გავრცელებულ განცხადებაში.

# რუსულმა ძალებმა ზაპოროჟიე დაბომბეს

რუსმა ოკუპანტებმა წუხელ ზაპოროჟიეზე სარაკეტო თავდასხმა განახორციელეს, – ამის შესახებ ზაპოროჟიეს რეგიონალური სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ალექსანდრ სტარუხი იუწყება.

– მტერმა მორიგი სარაკეტო იერიში მიიტანა საოლქო ცენტრზე. ცნობილია რვა „ჩამოფრენის“ შესახებ. სამიზნე კვლავ ინფრასტრუქტურული ობიექტები იყო, – წერს სტარუხი.

მისივე ინფორმაციით, დაზარალებულების შესახებ ინფორმაცია ზუსტდება.

ამასთან, ზაპოროჟიეს მერის მოვალეობის შემსრულებელმა ანატოლი კურტევმა განაცხადა, რომ წინასწარი მონაცემებით, ოკუპანტებმა ორ ინფრასტრუქტურულ ობიექტს დაარტყეს.

# რუსეთის შეიარაღებული ფორმირებები შეიძლება ერთმანეთს დაერიონ

## უკრაინელი გენერალი: „მტრის ბანაკში პანიკაა. ეს პანიკა ჯერჯერობით თავდაცვის ზოგიერთ სექტორს ეხება“

მარიამ მჭედლიშვილი



უკრაინის ომი გავლენას ახდენს საქართველოს მომავალზე. არ არის გამორიცხული, რომ უკრაინის ომის შედეგად რუსეთს, რომელსაც ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორიები, უმძიმესი პერიოდი დაუდგეს და კრემლმა ოკუპირებული ტერიტორიები ვეღარ გააკონტროლოს.

გამოითქმის პროგნოზები იმაზე, რომ პუტინის დასუსტებას (რაც უკვე მოხდა) და შესაძლო წასვლას თანამდებობიდან, რუსეთის ფედერაციაში დიდი არეულობა მოჰყვება. მოსალოდნელია, რომ უკრაინაში საბრძოლველად ჩამოყალიბებული სამხედრო ფორმირებები ერთმანეთს დაერიონ.

პუტინის ოპონენტი სოციოლოგის, იგორ ეიდმანის აზრით, რუსეთში სხვადასხვა სამხედრო ფორმირებები (ფაქტობრივად, კერძო არმიები) საბოლოოდ ერთმანეთს დაუპირისპირდებიან. მისი თქმით, რუსეთში მოხდება შფოთი. ამ „კერძო არმიებს“ აკონტროლებენ პირები, რომლებსაც პრეტენზია აქვთ ძალაუფლებაზე რუსეთში. ისინი ერთმანეთს დაეჯახებიან.

რა მიღწევები აქვს უკრაინის შეიარაღებულ ძალებს? რატომ განუდგნენ პუტინს ყოფილი მოკავშირეები? – ამ და სხვა საკითხებზე უკრაინულ მედიას ესაუბრება უკრაინელი გენერალი ნიკოლაი მელომუჟი.

***– აშშ-ის პრეზიდენტმა ბაიდენმა აღნიშნა, რომ უკრაინამ მიაღწია პროგრესს ფრონტზე. ამასთან, მისი თქმით, ჯერჯერობით გაურკვეველია, არის თუ არა ეს მომენტი გარდამტეხი, უკრაინას მოუწევს გრძელი გზის გავლა. ეთანხმებით თუ არა ამ შეფასებებს?***

– ამას მე ერთ-ერთ სცენარად განვიხილავ. ბაიდენი ჩვენს გამარჯვებებს ფრთხილ შეფასებებს აძლევს და განიხილავს უკრაინის გათავისუფლების მიზნით გადასაჭრელ რთულ ამოცანებს. რუსეთს თავისი ადგილი უნდა მიეჩინოს არა მარტო ომის ფორმატში, არამედ, მსოფლიო წესრიგის ფორმატშიც. ბაიდენი განიხილავს გრძელვადიან მოდელებს, რომლებიც ეხება უკრაინის გათავისუფლებას და რუსეთის ფედერაციისთვის გადამწყვეტი სამხედრო, ეკონომიკური და პოლიტიკური დარტყმების მიყენებას.

***– თქვენი შეფასებით, მოხდა თუ არა ომში გარდატეხა?***

– ჩვენ ვაკვირდებით ხარკოვის, ასევე, ნაწილობრივ დონეცკის, ლუგანსკისა და ხერსონის ოლქების გათავისუფლებას. ჩვენი შეიარაღებული ძალები კონტრდარტყმისთვის თვეების განმავლობაში ემზადებოდნენ. მიმაჩნია, რომ გარდატეხა ხდება. ჩვენ გარდამტეხ ეტაპზე ვიმყოფებით.

ჩვენ არა მარტო ეფექტიანად ვიცავთ თავს, არამედ, გადამწყვეტ დარტყმებს ვაყენებთ მოწინააღმდეგეს. განსაკუთრებით, ხარკოვის მიმართულებით. ეს მოწინააღმდეგისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. ეს არის არსებითი გამარჯვება, რომელსაც აქვს არა მარტო სამხედრო მნიშვნელობა ტერიტორიების გათავისუფლების კუთხით, არამედ, აქვს ასევე მორალურ-პოლიტიკური და მორალურ-სამხედრო მნიშვნელობა. ეს არის გარდატეხა მათ (მოწინააღმდეგეების) შეგნებაში, სტრატეგიულ აზროვნებაში. ისინი ხვდებიან, რომ ომი ადვილად არ დამთავრდება.. ტყვედ ძალიან ბევრი ბარდება.

ეს გარდატეხა იგრძნეს რუსეთის ხელმძღვანელებმაც, სარდლობამაც და, რა თქმა უნდა, ბრძოლის ველზე მყოფმა საველე მეთაურებმაც. ისინი ან თვითონ გარბოდნენ, ან აქტიურად აორგანიზებდნენ უკან დახევას. ეს უკვე პანიკაა მტრის ბანაკში. ჯერჯერობით ესაა პანიკა თავდაცვის მიმართულებების ცალკეულ სექტორში. ამ წარუმატებლობამ გამოიწვია რუსეთის „სპეცოპერაციის“ მხარდაჭერის შემცირება ამ ქვეყნის შიგნით. ბოლო დღეების განმავლობაში სამხედროები უარს ამბობენ კონტრაქტების გაგრძელებაზე, მობილიზაციაზე სხვადასხვა ფორმატში. ოლიგარქებიც კი, რომლებსაც დაევალათ კერძო სამხედრო ქვედანაყოფების ჩამოყალიბება, ცდილობენ თავი აარიდონ ამ ამოცანის შესრულებას.

ჩვენ ძალიან ეფექტიანად ვახდენთ მოწინააღმდეგის ნეიტრალიზებას ხერსონისა და ხარკოვის მიმართულებით. რაც მთავარია, ვახდენთ ახალი დარტყმებისა და შეტევითი მოქმედებების მხრივ მათი სტრატეგიის გარდატეხას. უფრო მეტად ვეუფლებით სიტუაციას ბრძოლის ველზე.

***– როგორ იმოქმედა წარმატებულმა კონტრშეტევამ უკრაინისათვის დახმარების გაწევაზე?***

– პარტნიორები – აშშ, დიდი ბრიტანეთი, ევროკავშირი, ევროკავშირის ცალკეული ქვეყანა ააქტიურებენ დახმარებას. მათ ივალდებულეს გაიღონ დამატებითი დახმარება შეიარაღების, ფინანსების სახით. აქაც ვხედავთ გარდატეხას ცნობიერებაში. ეს მოქმედებს ასევე პირობითად ნეიტრალებსა და რუსეთის პარტნიორებზე. გვახსოვს, რომ ლუკაშენკო იძლეოდა რუსეთისთვის ყოველმხრივი დახმარების გაწევის პირობას. პუტინის მცდელობა, ჩაითრიოს ის უკრაინის საზღვართან აქტიურ მანევრებში, უშედეგოა. ლუკაშენკო ატარებს წვრთნებს, მაგრამ პროვოკაციებზე საუბარი არ არის. რიტორიკა იცვლება. ლუკაშენკო ცდილობს, ჩვენს ქვეყანასთან ურთიერთობის მოწესრიგებას, ცდილობს მოავლინოს ელჩი.

ვაკვირდებით შუა აზიის ქვეყნების ცივ რეაქციას. რუსეთის მიმართ მხარდაჭერა აღარ ჩანს. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ყაზახეთის მაგალითი. ყაზახეთი ცდილობს თავიდან აირიდოს რუსეთის პირობითი მხარდაჭერაც, „ოდკბ“-ის ფარგლებშიც კი. ყაზახეთი აპირებს თანამშრომლობას ევროპისა და მესამე სამყაროს ქვეყნებთან ეკონომიკაში, ენერგეტიკაში.

თვითონ კრემლში, პუტინის გარემოცვაში აღარ არსებობს რეალური გამარჯვების რწმენა.

# თამარ ჩერგოლეიშვილი: „სააკაშვილს მივმართავ და ეგებ ვინმემ გადასცეს“

ამომრჩეველთა განათლების საზოგადოების დირექტორი თამარ ჩერგოლეიშვილი მიხეილ სააკაშვილს მიმართავს.

ჩერგოლეიშვილი წერს, რომ სააკაშვილს ქართველი ხალხი მხოლოდ ძალაუფლების დასაბრუნებლად სჭირდება.

– სააკაშვილს მივმართავ და ეგებ ვინმემ გადასცეს.

მიშა, არ ვიცი ბოლომდე გაიაზრე თუ არა, რომ შენ მიერ არჩეული, ასავალდასავალიზაციის, ეთნო-რელიგიური პოპულიზმით გაჟღენთილი მესიანიზმის გზა დამარცხდა! სრული ფიასკო განიცადა.

ტრაგიკომედიად მიიღო ამ საზოგადოების პროგრესულმა ნაწილმა ჯვრების ქნევა და ლიბერალიზმის გინება. არავინ დაგიჯერა ეგ სამარცხვინო სიყალბე. ვისაც ამის გამო არ შერცხვა, უბრალოდ, წაგიყრუა კონფორმისტულად.

არც ტელევიზიის პირად რუპორად ქცევა დაგეხმარა ამაში – ვერ მიხვდი, რომ საზოგადოება სხვაგანაა და ტელევიზორის წინ შეკრებილი ოჯახები აღარ არსებობენ, სქროლავს ხალხი – არქივსაც სქროლავს. ის ხალხი, ვინც ბიძინას დასამარცხებლადაა საჭირო.

წარმატებას მხოლოდ და მხოლოდ დემოკრატიული ფრონტის განადგურებაში მიაღწიე. შედეგად, ჩვენი ქვეყნისთვის ასეთ კრიტიკულ პერიოდში, ოპოზიცია ნანგრევებშია და შენ ციხიდან იხვეწები, ოღონდ გამიშვით და საქართველო არ გამახსენდებაო.

მე უკვე წლებია ვიცი, რომ შენ ქართველი ხალხი მხოლოდ ძალაუფლების დასაბრუნებლად გაინტერესებს – გაგხრწნა ძალაუფლებამ. რადგან ეს ვერ შეძელი, ახლა აღარც საქართველო გაინტერესებს – მაგრამ გამოგიტყდები, რომ ამის საჯაროდ მოსმენა მაინც ძალიან დამთრგუნველია ანწუხელიძის ქვეყანაში.



მძიმე საყურებელია, როდესაც ყოფილი მოკავშირე, ვისაც პატივს სცემდი, ასე იქცევა. ეს ძალიან მძიმე დიაგნოზია ნებისმიერი პოლიტიკური ლიდერისთვის და ძალიან სამწუხაროა, რომ ასე წაიყვანე შენი პოლიტიკური კარიერა.

მაგრამ ეს შენი არჩევანი იყო და ეს არჩევანი სასტიკად დამარცხდა. ედუარდს ვუსმინე იმ დღეს და ძალიან საღად და სწორად შეაფასა ვითარება – შენი გზა დამარცხდა! (ძალიან მომწონს ეგ ადამიანი).



ეს კანონზომიერია – როდესაც მტერი გიმსგავსებს და საკუთარ კარიკატურად გაქცევს, მარცხდები.

არ ვიცი ბეტმენი თუ გინახავს, ნახე ნოლანის ბეტმენი თუ დრო გაქვს – ან სუპერგმირად კვდები (ფიგურალურად ცხადია – ვაზუსტებ იდიოტებისთვის) ან საკმარისად დიდხანს ცოცხლობ, რომ იმ ურჩხულად იქცე, რასაც ებრძოდი. ბიძინამ თუ დაიმახსოვრა ნიცშე, შენ რაღა გეტაკა. ჩვენ ფასეულობების ომში ვიყავით და ვართ. ჩვენ, მე და გიგა, ამ ბრძოლას ვაგრძელებთ და გავაგრძელებთ იქამდე, სანამ არ მოვკვდებით.

ჩვენ გვჯერა, რომ ეს ქვეყანა გახდება თავისუფალი, ლიბერალურ-დემოკრატიული რესპუბლიკა და თავისუფალი სამყაროს ღირსეული წევრი, სადაც ყველა მოქალაქეს, განურჩევლად სქესისა, სექსუალური იდენტობისა, რელიგიისა, თუ ეთნიკური წარმომავლობისა ექნება ბედნიერებისკენ სწრაფვის შანსი.

ეს ასე იქნება – ორნახევარჯერაა გაზრდილი სექსუალური უმცირესობების უფლებების მხარდაჭერა, არაფერი ასე არ გაზრდილა ამ ქვეყანაში ფასების გარდა. მართალი ვიყავი, როცა გითხარი, რომ ინსტინქტები დაგიჩლუნგდა, მაგრამ არ დამიჯერე.

ჩვენ არ დაგვიკარგავს შენსავით წარმოდგენა ქართველ ხალხზე და არ შეგვძულებია ის მხოლოდ იმიტომ, რომ დავმარცხდით – ჩვენ ისევ გვჯერა, რომ ქართველი ხალხი იმსახურებს ღირსეულად ცხოვრებას კონსოლიდირებულ ლიბერალურ დემოკრატიაში, მიუხედავად იმისა, ჩვენ როგორ მოგვექცევა – სამართლიანად თუ უსამართლოდ და ესაა საქართველოს ისტორიული მისია.

ეს დაგვიბარა ბურთივით მრგვალმა ლიბერალმა. მის გზას ვაგრძელებთ ჩვენ და რამდენჯერაც არ უნდა ამოიღო ჯვარი და ლიბერალებს ანტიეროვნულობა გვაბრალო სამარცხვინოდ – ჩვენ ილიას გზას გავაგრძელებთ და მოვიგებთ, ოღონდ შენ ამ გამარჯვების ნაწილი აღარ/ვეღარ იქნები.

ახლა საქმე:

შენი ბინძური ქოცი სპიკერები გააჩერე.

გუბაზ სანიკიძეს და თაკო ჩარკვიანს პოლიტიკური წონა ერთადერთი მიზეზით გააჩნიათ – ყველაფრის მკადრებლები არიან და წონა შენ მიანიჭე, ყველაფრის კადრების ნიშნით.

ასავალ-დასავლის გზა გინდოდა, გეგონა, ამით დაამარცხებდი ბიძინას და ეს ბინძური სპიკერებიც ამაში გჭირდებოდა.

ეგ გზა დამარცხდა, მაგრამ ეს ხალხი, შენი მიცემული ძალით და ამ ძალის ინერციით მაინც აგრძელებს საქართველოს ლიბერალურ-დემოკრატიული მომავლისთვის ზიანის მიყენებას.

მე ამ ზომბებთან საქმე არ მაქვს – ყოველთვის ბინძურებად ვთვლიდი, ყოველთვის მტრებად ვთვლიდი და არაფერი გასაყოფი მათთან არ მაქვს, არასოდეს გადავიკვეთებით.

საქმე მაქვს შენთან.

დაიმახსოვრე, რომ რამდენჯერაც თაკო ჩარკვიანი ხმას ამოიღებს და ჩემი ქმრის ან ჩემი მისამართით მორიგ ბინძურ ცილისწამებას ისვრის – მე დაგაზიანებ შენ, დაგაზიანებ ყველგან, ყველა ფრონტზე, ყველა შეკრებაზე, ყველა სივრცეში იქამდე, სანამ არ გააჩერებ.

დაიმახსოვრე, რომ რამდენჯერაც გუბაზ სანიკიძე ლიბერალებს თავს დაესხმება, იმდენჯერ თავს დაგესხმები შენ, იმიტომ, რომ მხოლოდ შენ მიანიჭე ამ არარაობას წონა.

შენი საქმე შენ იცი, ცხადია. მე ჩემი გითხარი. ან როგორც აალაპარაკე ეგ ხალხი, ზუსტად ისე გააჩერე. არადა, რამდენჯერაც ხმას ამოიღებენ, იმდენჯერ შენ მოგხვდება და მერე ვიანგარიშოთ.

P.S. ჯანმრთელობას და აზრზე მოსვლას გისურვებ, იცი, რომ ვგულისხმობ და ტყუილად სიტყვებს არ ვისვრი, – წერს ამომრჩეველთა განათლების საზოგადოების დირექტორი, თამარ ჩერგოლეიშვილი.

# იაპონიას ტაიფუნი „ნანმადოლი“ დაატყდა თავს



იაპონიას ტაიფუნი „ნანმადოლი“ დაატყდა თავს, რამაც ძლიერი ქარი და წვიმა გამოიწვია, – ინფორმაციას Reuters-ი ავრცელებს.

სააგენტოს ცნობით, სტიქიის გამო 300.000 ოჯახი, მათ შორის უმეტესობა კუნძულ კიუსიუზე, ელექტროენერგიის გარეშეა დარჩენილი.

ამასთან, შეფერხებულია სარკინიგზო და საჰაერო მიმოსვლა, ერთ დღეში, დაახლოებით, 800 ავიარეისი გაუქმდა.

იაპონიის მეტეოროლოგიური სააგენტოს ცნობით, ცენტრალური იაპონიის ტოკაის რეგიონში უახლოესი 24 საათის განმავლობაში ძლიერი წვიმაა მოსალოდნელი.

– უნდა გამოვიჩინოთ სიფხიზლე მოსალოდნელი ძლიერი წვიმის, ქარიშხლის, მაღალი ტალღებისა და შტორმის გამო, – აცხადებენ უწყებაში.

# პრემიერ-მინისტრი დაზვერვის სამსახურის თანამშრომლებს პროფესიულ დღეს ულოცავს



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დაზვერვის სამსახურის თანამშრომლებს პროფესიულ დღეს ულოცავს. როგორც პრემიერ-მინისტრი „ფეისბუქზე“ წერს, დაზვერვის სამსახური ნებისმიერი ქვეყნისათვის უსაფრთხოების სისტემის საკვანძო ელემენტია.

– საქართველოს დაზვერვის სამსახურის თანამშრომლებს გილოცავთ პროფესიულ დღეს! დაზვერვის სამსახური ნებისმიერი ქვეყნისათვის უსაფრთხოების სისტემის საკვანძო ელემენტია. დღეს, გეოპოლიტიკური გამოწვევების ფონზე, თქვენი ინსტიტუტის როლი კიდევ უფრო გაზრდილია. საქართველოს სჭირდება ძლიერი დაზვერვის სამსახური. შესაბამისად, გისურვებთ ინსტიტუციურ განვითარებას და წინსვლას.

გარწმუნებთ, რომ თითოეული თქვენგანის საქმიანობა, რომელსაც სახელმწიფოს სასარგებლოდ ეწევით, ჩემთვის მნიშვნელოვანი და დასაფასებელია. წარმატებას ვუსურვებ დაზვერვის სამსახურის როგორც დამწყებ თანამშრომლებს, ისე გამოცდილ პროფესიონალებს.

მადლობა ერთგულებისა და იმ უდიდესი ვალდებულების გრძნობისთვის, რომელსაც სამშობლოს წინაშე განიცდით! წარმატებებს გისურვებთ თქვენ და საქართველოს! – აღნიშნავს პრემიერ-მინისტრი.

# რუსეთის მოქალაქემ, ე.წ. კრიმინალურმა ავტორიტეტმა პირს 15.000 ლარი გამოსძალა



სასამართლომ „ქურდული სამყაროს“ წევრობასა და გამოძალვაში ბრალდებული დამნაშავედ ცნო, მას 8 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

პროკურატურის ინფორმაციით, მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ „კანონიერი ქურდის“ შვილი, რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, ე.წ. კრიმინალური ავტორიტეტი ი.დ. სიცოცხლის მოსპობისა და ქონების განადგურების მუქარით დ.ზ.-ს პერიოდულად მისთვის თანხის გადაცემას აიძულებდა.

უწყების ცნობით, მან საერთო ჯამში დაზარალებულს 15.000 ლარი გამოსძალა. ასევე, ბრალდებულმა, როგორც კრიმინალურმა ავტორიტეტმა, „ქურდულ სამყაროში“ დადგენილი წესების შესაბამისად, დაზარალებულს ძალადობის გამოყენების მუქარით 15.000 აშშ დოლარის და მისი კუთვნილი ავტომანქანის გადაცემა მოსთხოვა.

სამართალდამცველებმა ი.დ. მოსამართლის განჩინების საფუძველზე 2021 წლის 21 დეკემბერს დააკავეს.

მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე პრიმა მუხლის 1-ელი ნაწილით („ქურდული სამყაროს“ წევრობა) და სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (გამოძალვა დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით) წარედგინა.

# სასამართლომ განზრახ მკვლელობაში ბრალდებული დამნაშავედ ცნო



თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და განზრახ მკვლელობაში ბრალდებული დამნაშავედ ცნო. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს გენერალური პროკურატურა ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 9 იანვარს, ქ. თბილისში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე წარმოქმნილი კონფლიქტისას, ბრალდებულმა შურისძიების მოტივით, ერთ პირს გულმკერდის არეში დანით ჭრილობები მიაყენა. დაზარალებული მიღებული დაზიანების შედეგად გარდაიცვალა.

ამასთან, სამართალდამცველებმა ბრალდებული დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) წარედგინა. თბილისის საქალაქო სასამართლომ ბრალდებული სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 8 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

# ცისკარიშვილი, მელია, გოგიჩაშვილი — ახალი გვარები თვალთვალის საქმეში



აღმოჩენილია ოპოზიციის ლიდერების თვალთვალის ახალი ფაილები. პეტრე ცისკარიშვილი, ნიკა მელია და ლევან გოგიჩაშვილი, ეს იმ სამი ლიდერის ვინაობაა, ვისი უკანონო მოსმენისა და მიყურადების მტკიცებულებებს „ტვ პირველი“ ასაჯაროებს.

ხელისუფლება კი, სისტემური დანაშაულის ფოტოს, ვიდეო და აუდიო მტკიცებულებებს უბრალოდ არ იმჩნევს.

პოლიტიკურ ოპონენტებზე უკანონო თვალთვალის ახალ ფაილებში არის ფოტომასალა და ტექსტური შეტყობინებები. სუს-ში დაწერილი ოპერატიული ცნობებით დგინდება, რომ საიდუმლო სამსახურს განსაკუთრებულ კონტროლზე ჰყავდა აყვანილი ოცნებიდან წასულები, მათ შორის ლევან გოგიჩაიშვილი და მარიამ ჯაში.

უსმენდნენ და შეხვედრების დროს ფარულად უთვალთვალებდნენ არა მხოლოდ მათ, არამედ რიგით მოქალაქეებსაც, ვისაც ოცნებიდან წასულებთან კომუნიკაცია ჰქონდა.

სუსი აკონტროლებს იმ ავიარეისების მგზავრების სიასაც, რომელიც თბილისის აეროპორტში ეშვება, თუ ბორტზე ოპოზიციის ლიდერები არიან, მაშინ აეროპორტში ფარული მიყურადებისთვის სპეციალური ჯგუფი მიდის.

# 14-დან 17-წლამდე ასაკის ყოველი მეხუთე მოქალაქე აზარტულ თამაშებშია ჩართული



არასრულწლოვნების „ხელზე მაზაობა“ – 14-დან 17-წლამდე ასაკის ყოველი მეხუთე მოქალაქე აზარტულ თამაშებშია ჩართული

14-დან 17-წლამდე ასაკის ყოველი მეხუთე მოქალაქე აზარტულ თამაშებშია ჩართული და ფულის სანაცვლოდ თანატოლებთან თამაშობს. უმძიმესი რეალობა ახალი კვლევით გამოჩნდა. გამოკითხული 1.000-ზე მეტი მოზარდიდან 22% ამბობს, რომ „ხელზე თამაშობს“.

სკოლის მოსწავლეების 60%-ზე მეტი კი ამბობს, რომ იცნობს თანატოლს, რომელიც ქუჩაში, სახლში ან არალეგალურად მოწყობილ აზარტული თამაშების სივრცეში ფულის სანაცვლოდ თამაშობს. „ხელზე თამაშის“ მთავარი პრინციპი ორ ან რამდენიმე ადამიანს შორის დადებული სანაძლეოა, ინიშნება ფულის გადახდის დრო და თუ მოზარდი ამ ვადაში თანხას ვერ დააბრუნებს, საქმეში ე.წ. კრიმინალური ავტორიტეტები ერთვებიან.

ისინი, ვინც მოზარდებთან ამ პრობლემაზე მუშაობენ, ამბობენ, რომ ხშირად საქმე სუიციდის მცდელობამდეც მიდის, მოზარდები სახლებიდან ნივთებს იპარავენ და ცდილობენ ვალი ამით გადაიხადონ.

კვლევაში მონაწილე მოზარდების 16% ამბობს, რომ პირველად ხელზე ითამაშა, ზოგადად ხელზე 24%-ს უთამაშია, არასამთავრობო ორგანიზაციები ამბობენ, რომ მმართველი გუნდი აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული ადამიანების დასახმარებლად არაფერს აკეთებს, აინიცირებს კანონებს, რომელიც ფასადურია და პრობლემის მოგვარებას უფრო აღრმავებს.

მესამე სექტორი მმართველ პარტიას მოუწოდებს, გააკონტროლოს შავი ბიზნესი, ბიზნესი, რომელმაც მიწის ქვეშ გადაინაცვლა და ყოველდღიურად ათობით არასრულწლოვანს ითრევს.

# კიკეთში მომხდარი მკვლელობისა და დაჭრის საქმეზე დაკავებულს ბრალდება წარუდგინეს



კიკეთში მომხდარი მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობის ფაქტზე 54 წლის მამაკაცს ბრალი ოფიციალურად წარედგინა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ადვოკატმა, სულხან კომახიძემ განუცხადა, მისი დაცვის ქვეშ მყოფი გელა ნიორაძე ბრალს არ აღიარებს.

შეგახსენებთ, კიკეთში მკვლელობისა და დაჭრის ფაქტი 17 სექტემბერს მოხდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 54 წლის მამაკაცმა ყოფით ნიადაგზე მომხდარი შელაპარაკებისას ავტომატიდან გასროლით 6 პირი დაჭრა, რომელთაგანაც ერთი კლინიკაში მიყვანამდე გარდაიცვალა. დანარჩენი 5 პირი კი კლინიკაში გადაიყვანეს, სადაც მათ შესაბამისი სამედიცინო დახმარება გაეწიათ.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 19-109-ე და 236-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც ორი ან მეტი პირის მიმართ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ განზრახ მკვლელობის მცდელობას და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.

# შაქარაშვილის მკვლელობაში მსჯავრდებულის მამამ, თამაზ ხომასურიძემ, ფსიქიატრიული დაწესებულება დატოვა

ფეხბურთელ გიორგი შაქარაშვილის მკვლელობაში მსჯავრდებული არასრულწლოვნის, ზ.ხ.-ს მამამ, თამაზ ხომასურიძემ, ხონის ფსიქიატრიული დაწესებულება ერთწლიანი იძულებითი მკურნალობის შემდეგ დატოვა.



სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, რომელიც გასულ წელს გაიცა, თამაზ ხომასურიძე შეურაცხადად იქნა ცნობილი. აღნიშნული დასკვნის საფუძველზე, სახელმწიფო ბრალდებამ სასამართლოს თამაზ ხომასურიძის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის მოთხოვნით მიმართა. აღნიშნულის შემდეგ, ის იძულებით მკურნალობაზე აკადემიკოს ნანეიშვილის სახელობის სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანეს, რომელიც ხონის რაიონის სოფელ ხუტირში მდებარეობს.

ცნობისთვის, თამაზ ხომასურიძეს ცრუ ჩვენების მიცემას, მტკიცებულებების ფალსიფიკაციას, მუქარასა და სასჯელაღსრულების დაწესებულების რეჟიმის ინსპექტორზე თავდასხმას ედავებოდნენ.

# ივლისის ბოლოს გაუჩინარებული გიორგი ნადირაძე გარდაცვლილი იპოვეს



ივლისის ბოლოს გაუჩინარებული 51 წლის გიორგი ნადირაძე სოფელ გამორჩინებულში, ხრამში გადაჩეხილი იპოვეს.

ცხედარი შემთხვევით ადგილობრივმა მცხოვრებმა ნახა.

გარდაცვლილის ვინაობა ზურგჩანთაში ნაპოვნი პირადობის მოწმობით დაადგინეს.

ცნობილია, რომ გიგა ნადირაძემ ტელეკომპანია „ზარში“ წამყვანი ოპერატორის პოზიციაზე რამდენიმე ათეული წელი იმუშავა.

# 213-ე ბაღის ძარცვაში 6-7 წლის ბავშვები მონაწილეობდნენ

თბილისში მდებარე 213-ე ბაღი მთელი დღის განმავლობაში საგამოძიებო მოქმედებების ეპიცენტრი იყო – მიზეზი ძარცვის მცდელობაა. ჩანაწერებში ნათლად ჩანან ბავშვები, რომლებმაც სკოლამდელ დაწესებულებაში ფანჯრიდან შეაღწიეს და ინვენტარი დააზიანეს.

„პირველების“ მიერ მოპოვებულ ფოტომასალაში ჩანს, რომ არასრულწლოვნების ჯგუფი ბაგა-ბაღის შენობაშია შეჭრილი. 6-7 წლის ბავშვების 5-კაციანმა ჯგუფმა ჯერ დაკეტილი ბაღის ფანჯარა ჩაამტვრია, შევიდნენ შენობაში, შემდეგ ოთახები სათითაოდ ჩამოიარეს და ინვენტარი დააზიანეს. გატეხილია რამდენიმე ოთახის საკეტი. ბავშვებმა ძალის გამოყენებით გახსნეს დირექტორის მოადგილის და ექთნის კაბინეტებიც.

213-ე ბაღში პატარების დაჯგუფება 18 სექტემბერს საღამოს შეიჭრა. უცნობია, რას ეძებდნენ მცირეწლოვანი ბავშვები დაკეტილი ბაღის შენობაში. პირველადი ინფორმაციით, წაღებული არაფერია, თუმცა ოთახების საკეტები და ინვენტარი დააზიანეს, თანამშრომლებს არეული დახვდათ კარადები და სათავსოებიც.



უჩვეულო თავდასხმის შესახებ ბაღის დირექტორმა ჯერ სოციალურ ქსელში დაწერა. ვიდრე მომხდარი დანაშაულის შესახებ ნინო ლომინეიშვილი პოლიციას შეატყობინებდა, მან საჯარო პოსტით სავარაუდო დამნაშავეები ბოდიშის მოსახდელად და ახსნა-განმარტებისთვის დაიბარა. თუმცა, შემდეგ ეს განცხადება წაშალა და ბაღში კრიმინალური პოლიცია გამოიძახეს.

ვინ შეიჭრა ბაღში – ამის დასადგენად საექსპერტო კრიმინალისტიკური სამსახურის თანამშრომელიც მივიდა. თუმცა ადგილიდან ვერანაირი ნიმუში ვერ ამოიღეს. სავარაუდოდ, ბავშვები კარგად იყვნენ მომზადებულები. ზოგს შენობაში შეჭრისას ხელთათმანიც კი ეკეთა. ამიტომ ანაბეჭდები და სუნის ნიმუში გამომძიებელმა ფიზიკურად ვერ აიღო.

სააღმზრდელო დაწესებულება საგამოძიებო მოქმედებების ეპიცენტრად დღეს დილიდან იყო გადაქცეული. საპატრულო და კრიმინალური პოლიციის ეკიპაჟები ბაღში გამოკითხვებს რამდენიმე საათის განმავლობაში ატარებდნენ. ამოიღეს სათვალთვალო კამერების ჩანაწერები. პარალელურად, პატარა კრიმინალების ძებნის ოპერაცია მთელი დილმის მასშტაბით დაიწყო. დღის ბოლოს, 5-ივე კანონდამრღვევის ვინაობა გამოვლინდა.

ბაღში შეჭრაში მხილებული პატარები მშობლებთან ერთად დღეს პოლიციამ ამავე ბაღის შენობაში დაიბარა. მათ გაფრთხილება მისცეს და, სავარაუდოდ, დაწესებულებისთვის მიყენებულ ზიანს აანაზღაურებინებენ.

## უკრაინის პროკურატურამ რუსების მიერ ჩადენილი 34.000 სამხედრო დანაშაული დააფიქსირა



უკრაინის გენერალური პროკურორის ოფისს უკრაინაში რუსების მიერ ჩადენილი 34.000 სამხედრო დანაშაული აქვს დაფიქსირებული. ამის შესახებ უკრაინის გენერალურმა პროკურორმა ანდრეი კოსტინმა CBS News-თან ინტერვიუში განაცხადა.

მისი თქმით, ამ მომენტისთვის, პრიორიტეტულია გათავისუფლებულ ხარკოვის ოლქში, კერძოდ, ქალაქ იზიუმში ჩადენილი სამხედრო დანაშაულების გამოძიება. ასევე, გრძელდება ბუჩასა და ირპინთან დაკავშირებული საქმეების გამოძიება.

– რასაც ახლა ვხედავთ, რა თქმა უნდა, არის რუსი აგრესორის მიერ პოტენციური სამხედრო დანაშაულების შემზარავი რაოდენობა. ისიც კი მინდა ვთქვა, რომ რასაც ახლა ვხედავთ, არის რუსი აგრესორის სისტემა, ის, რასაც ისინი აკეთებენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე. მეჩვენება, რომ ყოველ ჯერზე, როცა რუსული ჯარი მოდის, ისინი იმ ადგილს ახალ ბუჩად აქცევენ, როგორც იზიუმში ვხედავთ, – განაცხადა კოსტინმა.

## სამხრეთით რუსი ოკუპანტების ზოგიერთი მეთაური ტყვედ ჩაბარებას ცდილობს



სამხრეთით ოკუპანტების ზოგიერთი მეთაური უკრაინის შეიარაღებულ ძალებთან დაკავშირებას და ტყვედ ჩაბარებას ცდილობს, – ამის შესახებ ინფორმაციას სამხრეთ უკრაინის თავდაცვის ძალების ერთობლივი საკოორდინაციო პრესცენტრის ხელმძღვანელი ნატალია ჰუმენიუკი ავრცელებს.

– საბრძოლო კონტროლი, რომელიც ჩვენ გვაქვს დნეპრის გადაღმა გადასასვლელებსა და სატრანსპორტო არტერიებზე, აიძულებს მათ გააცნობიერონ, რომ ისინი გაჭედილები არიან [უკრაინის] თავდაცვის ძალებსა და მარჯვენა სანაპიროს შორის. ამიტომ მათ შევთავაზეთ გამოსავალი, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ეგიდის ქვეშ გადასვლის ან სახლში დაბრუნების სახით, თუმცა ჯერ უნდა გავიგოთ, როგორ მოხდება ეს, – განაცხადა ჰუმენიუკმა.

მისი თქმით, რუსი სამხედროები დემორალიზებულები არიან და არ ესმით მათი იქ ყოფნის. „არის ინფორმაცია, რომ ისინი მართლაც დემორალიზებულები არიან, ნამდვილად ვერ ხედავენ ამ მიმართულებით ყოფნის მიზანს, ხედავენ [უკრაინის] აღმოსავლეთის მაგალითს და ეს მათ ძალიან „შთააგონებს“, ვინაიდან, ესმით, რომ მოვლენები ასეც შეიძლება განვითარდეს“ – თქვა ჰუმენიუკმა.

მან დაამატა, რომ „ზედმიწევნით შემოწმებას ექვემდებარება“ ყოველი შემთხვევა, როდესაც რუსული ქვედანაყოფების ხელმძღვანელობა უკრაინის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებს უკავშირდება იარაღის დაყრაზე შესათანხმებლად.

## ლუგანსკის ოლქში, ბელოგოროვკა უკრაინული ძალების კონტროლის ქვეშაა



ლუგანსკის ოლქის დასახლებული პუნქტი ბელოგოროვკა მთლიანად უკრაინის შეიარაღებული ძალების კონტროლის ქვეშაა, – ამის შესახებ ინფორმაციას ლუგანსკის საოლქო-სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი სერგეი გაიდაი ავრცელებს.

ამავდროულად, მან აღნიშნა, რომ ლუგანსკის ოლქის გათავისუფლება მარტივი არ იქნება.

– ჩვენ ყველანი მოთმინებით უნდა ვიყოთ ლუგანსკის ოლქის მასშტაბური დეოკუპაციის მოლოდინში. ეს პროცესი ბევრად უფრო რთული იქნება, ვიდრე ხარკოვის ოლქში. ლუგანსკის ოლქის ყოველი სანტიმეტრისთვის მძიმე ბრძოლა იქნება. მეტოქე თავდაცვისთვის ემზადება, ამიტომ „ალლუმით“ ვერ შევალთ, – წერია გაიდაის განცხადებაში.

გუბერნატორმა ასევე აღნიშნა, რომ უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლები მზად არიან, სამუშაოს განახლებისთვის ყოველ გათავისუფლებულ დასახლებულ პუნქტში.

– ხალხი ჩვენ გველოდება. ჩვენ ვემზადებით. უკრაინის ხელისუფლება დაუყონებლივ დაიწყებს მუშაობას დეოკუპირებულ თემებში. დრო და მოთმინება. თვალი ადევნეთ ოფიციალურ ინფორმაციას, – დაამატა გაიდაიმ.

## სირიაში, აშშ-ის სამხედრო ბაზაზე სარაკეტო თავდასხმა განხორციელდა

ჩრდილო-აღმოსავლეთ სირიაში, „გრინ ვილიჯის“ ამერიკულ ბაზაზე სარაკეტო იერიში მიიტანეს, – ინფორმაციას Reuters-ი აშშ-ის ცენტრალურ სარდლობაზე დაყრდნობით ავრცელებს.

მათივე ცნობით, ბაზის მიმართულებით სამი, 107-მილიმეტრიანი რაკეტა ისროლეს, თუმცა მიზანს ვერც ერთმა მიაღწია და, შესაბამისად, აშშ-ის ან კოალიციური ძალების პირად შემადგენლობას და აღჭურვილობას ზიანი არ მიყენებია.

მომხდარს აშშ-ის ცენტრალური სარდლობა იძიებს.

## ჯო ბაიდენი: „კორონავირუსის პანდემია დასრულდა“

აშშ-ის პრეზიდენტის, ჯო ბაიდენის განცხადებით, კორონავირუსის პანდემია დასრულდა. „პანდემია დასრულდა. ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს კოვიდთან დაკავშირებული პრობლემა, ჩვენ ჯერ კიდევ ბევრს ვმუშაობთ მასზე, მაგრამ პანდემია დასრულდა. თუ ამჩნევთ, არავის უკეთია პირბადე. როგორც ჩანს, ყველა საკმაოდ კარგ ფორმაშია“ – აღნიშნა აშშ-ის პრეზიდენტმა CBS-თან ინტერვიუში.

Reuters-ი წერს, რომ აშშ-ის პრეზიდენტმა ეს განცხადება იმ ფონზე გააკეთა, როდესაც შეერთებული შტატები აგრძელებს კორონავირუსით დაინფიცირების შემთხვევების გავრცელებასთან ბრძოლას და პანდემიას, ყოველდღიურად, ასობით ადამიანი ეწირება.

სააგენტოს ინფორმაციით, აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრების თანახმად, აშშ-ში ყოველდღიურად კორონავირუსით, დაახლოებით 400 ადამიანი იღუპება.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## მალამო მენტორი პირველი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი პირველი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, პოდაგრა, სახსრებსა და ხერხემალში მარილების დაგროვება, რევმატიული სახსრების ანთება, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება. მკურნალობისას ნადგურდება სოკო. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში წელზე, მუხლებზე, სახსრებზე. მკურნალობისას თანდათან მცირდება ტკივილები, შეშუპება. მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ.

## მალამო მენტორი ხუთი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: ქუსლის კანის გარქოვანება, ქუსლებზე ნახეთქები, ბუასილის კვანძების, ნაწოლების, ინსულტის შემდგომი სისუსტე. **გამოყენების წესი:** მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში. მცირდება ტკივილები, შეშუპება მუხლის ტროპიკული წყლულის არსებობის, ვარიკოზული ვენების გაფართოების დროს. პრეპარატის გავლენით წყლულები იწმინდება და ჩქარდება მათი შეხორცება. თანდათან ქრება თრომბები.

## სპრეი მენტორი 7

გამოიყენება მავნე რესპირატორული ვირუსების, გრიპის დასამარცხებლად, გაციებისას ცხვირის არხებიდან გამონადენის შესაჩერებლად, ნახველის გასათხელებლად.

სპრეის გამოყენების შედეგად ნადგურდება მავნე ბაქტერიები, უმჯობესდება სუნთქვა, მცირდება/წყდება გამონადენი ცხვირიდან, უმჯობესდება ჯანმრთელობა.

შექმნილია ანტიალერგიული მცენარეებისგან.

**მიღების წესი:** კარგად გავითავისუფლოთ ცხვირის არხები გამონადენისგან და შევისხუროთ სპრეი ორივე ნესტოში, ასევე ყელში.

☎ 599-73-48-21.

## ესპანეთის საკალათბურთო ნაკრები ევროპის ჩემპიონია




სერჯიო სკორიოლოს გაწვრთნილი გუნდი, რომელმაც ევრობასკეტ 2022-ის ჯგუფური ეტაპი თბილისში ითამაშა და 5 მატჩიდან 4 მოიგო, ბერლინში გამართული ფლეი ოფი წაუგებლად გაიარა და ფინალში საფრანგეთის ნაკრებსაც დამაჯერებლად სძლია – 88:76.

აღსანიშნავია, რომ მე-2 მეოთხედში ესპანეთის ნაკრები 21 ქულის სხვაობით (47:26) დაწინაურდა. თითქოს, ფინალის ბედი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ფრანგებმა მე-2 მეოთხედის ბოლო და მე-3 მეოთხედის სტარტი 20:2 მოიგეს და ჩამორჩენა 3 ქულამდე შეკვეცეს – 46:49. ესპანელებმა წუთშესვენება აიღეს, ტაქტიკა შეცვალეს და მორიგი გაქცევის შემდეგ ანგარიში 58:46 გახდა. ეს იყო გადამწყვეტი ეპიზოდი, რის შემდეგაც ფრანგები მეტოქეს 6 ქულაზე ახლოს ველარ მიუახლოვდნენ.

ფინალის გმირი ხუანჩო ერნანგომესი გახდა, რომელმაც 27 ქულა და 5 მოხსნა მიითვალა. ვილი ერნანგომესს, რომელიც ტურნირის მვპ-დ დაასახელს, 14 ქულა და 8 მოხსნა ჰქონდა, ლორენსო ბრაუნს – 14 ქულა და 11 პასი.

ევროპის პირველობის სიმბოლურ ხუთეულში ესპანეთის ნაკრების 2 კალათბურთელი მოხვდა: ბრაუნი და ვილი ერნანგომესი. მათ გარდა ბერძენი იანის ანტეტოკუნმპო, ფრანგი რუდი გობერი და გერმანელი დენის შრიოდერი გამოარჩიეს.

## გასული სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი გიორგი მამარდაშვილია



„სარბიელმა“ 2021-22 წლების სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი გამოავლინა და ის გიორგი მამარდაშვილი გახდა. საქართველოს ნაკრებისა და ვალენსიას მეკარემ 163 ხმა დააგროვა და 10 ქულით აჯობა მეორე ადგილზე გასულ ნაპოლის შემტევ ხვიჩა კვარაცხელიას. მესამე ადგილზე თურქული ჰატაისპორის ნახევარმცველს საბა ლობჟანიძე გავიდა.

ისევე, როგორც შარშან, სეზონის საუკეთესო ფეხბურთელთან ერთად საუკეთესო დებიუტანტიც დასახელდა და ექსკლუზიურად დამზადებული პრიზი (ხვედელიძის ფიგურა ბაადურ წულაძის ცნობილი ფილმიდან „ფეოლა“) გადაეცა.

„სარბიელი“ გამოკითხვას 1992-93 წლების სეზონიდან ატარებს. თუმცა, 2008 წელს შეჩერდა, მაგრამ 10-წლიანი პაუზის კომპანია „ლიდერბეთთან“ ერთად ისევ აღდგა.

წლევანდელ გამოკითხვაში 75 სპორტული ჟურნალისტი მონაწილეობდა, რომლებმაც თავიანთი რჩეულები მაისში, ანუ სეზონის ბოლოს პირველი, მეორე, მესამე ადგილების პრინციპით დაასახელეს. ქულების დარიცხვის სისტემა მარტივია: პირველ ნომრად დასახელებულ კანდიდატს ენიჭება 3 ქულა, მეორეს – 2, მესამე – 1. ქულები ჯამდება. შედეგები საჯაროა...

შედეგების მიხედვით მამარდაშვილი 163 ქულით პირველი იყო. საქართველოს ნაკრებისა და ვალენსიას მეკარემ 10 ქულით აჯობა მეორე ადგილზე გასულ ხვიჩა კვარაცხელიას (153), ხოლო მესამეობა თურქული ჰატაის ნახევარმცველ საბა ლობჟანიძეს (52) ერგო.

**გიორგი მამარდაშვილი:**

– ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ეს პრიზი. ალბათ უფრო იმის დამსახურებაა, რომ სხვებზე ადრე მოვხვდი ტოპ-ლიგაში. გვყავს ფეხბურთელები, რომლებიც ამ პრიზს იმსახურებენ და მომავალში მიიღებენ. ახლა ის დამრჩენია, რომ მიღწეულით არ დავკმაყოფილდე და უფრო სოლიდური პრიზები მოვიგო. მადლობა სარბიელს, მადლობა ჟურნალისტებს ასეთი დაფასებისთვის.

ნომინანტთა შორის იყვნენ: გურამ კაშია (24), ბუდუ ზივზივაძე (13), ჯაბა კანკავა (8), სანდრო ალთუნაშვილი (5), გიორგი ლორია (4), ზურიკო დავითაშვილი, ნიკა კვეკვესკირი, ირაკლი აზაროვი, გიორგი მიქაუტაძე (3-3), ჯოვინო ფლამარიონი (2), გიორგი ქვილითაია, დავით ხოჭოლავა, ვაკო ყაზაიშვილი, თორნიკე ოქრიაშვილი, გიორგი წიტაიშვილი (1-1) დასახელდნენ.

მამარდაშვილი მეორე მეკარეა, ვინც ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული ირგუნა. პირველი აკაკი დევაძე გახლდათ, რომელმაც „სარბიელის“ გამოკითხვაში 1995 წელს იმარჯვა.

შეგახსენებთ, რომ გასული სეზონი გიორგი მამარდაშვილმა ვალენსიაში გაატარა. ესპანური ლა ლიგის გუნდში თბილისის ლოკომოტივიდან გადასული გიორგი, თავდაპირველად კლუბის მეოთხე მეკარედ მიიჩნეოდა, მაგრამ მწვრთნელები მალევე დაარწმუნა თავის მაღალ ოსტატობაში, საიმედოობაში და წინა სეზონის პირველსავე ტურში ძირითად მეკარედ ვიხილეთ. სტაბილურად მაღალ დონეზე ჩაატარა მთელი ჩემპიონატი და ვალენსიამ რომ ესპანეთის სამეფო თასის ფინალში ითამაშა, გიორგი მამარდაშვილის დიდი დამსახურება გახლავთ. გიორგი რამდენჯერმე დაასახელეს ლა ლიგის ტურის სიმბოლურ გუნდში და კონკრეტული მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად.

ნომინანტთა შორის სულ 18 ფეხბურთელია, მათგან მხოლოდ ხუთი თამაშობდა ეროვნულ ლიგაში და ხუთივე ბათუმში, სადაც სადღეისოდ მხოლოდ სანდრო ალთუნაშვილი და ფლამარიონი დარჩა.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

### კალეიდოსკოპი

## ზღვის ლომმა, რომელიც კასატკებს გაურბოდა, კინაღამ ნავი გადააყირავა



კანადის პროვინცია ბრიტანეთის კოლუმბიის ქალაქ ვიქტორიას მახლობლად ნავის მგზავრები კინაღამ დაშავდნენ, როდესაც კასატკებს გამოქცეული მოზრდილი ზღვის ლომი მათ მომცრო ნავში ჩახტა და ლამის გადააბრუნა.

აღნიშნული შემთხვევა ვიდეოზე გადაიღეს გემიდან, საიდანაც ვეშაპებს აკვირდებოდნენ. ეს გემი სწორედ კასატკებს მიჰყვებოდა პედერ-ბეის ყურეში. ამერიკის ვეშაპების კვლევის ცენტრის ოპერატორმა და მეცნიერ-თანამშრომელმა მარკ მელესონმა ცადა, ნავის მგზავრები, რომლებიც თევზაობით იყვნენ დაკავებულნი, კასატკების მიახლოების თაობაზე გაეფრთხილებინა.

– როდესაც ზღვის მტაცებლებმა ნავს ახლოს ჩაუარეს, იქვე აღმოჩნდა ზღვის ლომი, რომელმაც, როგორც ჩანს, კასატკები შენიშნა, პანიკაში ჩავარდნილმა კი თავის გადარჩენა ნავში ჩახტომით ცადა, – განაცხადა მელესონმა.

ვიდეორგოლის ერთ მომენტში ისმის, თუ როგორ უყვირის მელესონი ნავის მგზავრებს: „ბიჭებო, ჯობია, აქაურობას სასწრაფოდ გაეცალოთ!“. რამდენიმე წამში კი დაახლოებით 340-კილოგრამიანი მოზრდილი კალიფორნიული ზღვის ლომი წყლიდან ამოხტა.

– მან ერთი ნახტომი გააკეთა და ნავის კიდეზე აღმოჩნდა, შემდეგ მეორე ნახტომი გააკეთა და ნავი გადაიხარა. ჩემდა გასაკვირად, ნავი არ გადაბრუნდა, – აღნიშნა მკვლევარმა.

ამის შემდეგ ზღვის ლომი წყალში დაბრუნდა და ნავს გამოეკიდა. ამ დროისთვის ნავის მგზავრები ერნესტ და ვაიჟა გოდეკები ნაპირისკენ გაემართნენ. ისინი მომხდარის შემდეგ შოკში იყვნენ, თუმცა არ დაშავებულან.

## მძარცველი შეცდომით პოლიციელს დაესხა თავს და თავი ციხეში ამოყო




ფილიპინების ქალაქ სებუში მძარცველი შეცდომით პოლიციელს დაესხა თავს და შედეგად თავი ციხეში ამოყო.

27 წლის პოლიციელი, სეგფრედ პაკეო იორპე, ველოსიპედით მგზავრობდა, როდესაც მოულოდნელად მას გზა 48 წლის როგელიო არაბის ლიპარმა სკუტერით გადაუჭრა.

ამის შემდეგ ლიპარმა იორპეს შარვლის უკანა ჯიბიდან ტელეფონი ამოაცალა. პოლიციელმა წინააღმდეგობის გაწევა ცადა, თუმცა მძარცველი არ ეშვებოდა და მხოლოდ მას შემდეგ დაიხია უკან, როდესაც იორპემ უთხრა, რომ ის სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელი იყო.

საბოლოოდ იორპემ მძარცველი დააკავა და საკუთარი ტელეფონიც დაიბრუნა. გარდა ამისა, მან დამნაშავეს რევოლვერიც აღმოუჩინა, რომელიც გამოძიებაში ნივთმტკიცებად გამოიყენა. ამ დროისთვის ლიპარი საპატიმროში იმყოფება. მან დანაშაული აღიარა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მხოლოდ იმას ნანობს, რომ მისი მსხვერპლი პოლიციელი აღმოჩნდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# გაუჩერებელმა ტორპედომ ბათუმის დინამო დაამუხრუჭა

**ტორპედო-დინამო (ბთ) 1:0**

**ზესტაფონი. დავით აბაშიძე**

1:0 გიგაური (27)

**ტორპედო:** კვასხვაძე, გეგეჭკორი, მონტეირუ, სანდოხაძე, ნადარაია, გ.კუხიანიძე (ცინცაძე 72), გიგაური (გ.მჭედლიშვილი 87), არაბიძე (ვ.ტაბატაძე 87), ქიმაძე, შერგელაშვილი, კაბალიერო

**დინამო:** ალავიძე, მამუჩაშვილი, რეხვიაშვილი (ბიძინაშვილი 57), აზაცკი, ჩაბრაძე (ქაფიანიძე 46), რადინი (ფალავანდიშვილი 46), ტეიდი, ალთუნაშვილი, ჯილაური, ზარია (ჯოვინო 46), ფანცულაია (ვაწაძე 61)

ქუთაისის ტორპედომ მესამე წრეში „იჩემპიონა“. კახა ჩხეტიანის შეგირდებმა 9 მატჩში 7 მოიგეს, 1 ფრედ დაასრულეს და ერთიც წააგეს. რიონისპირელებმა ამჯერად ბათუმის დინამოს მოუგეს და ცხოვრება „გაუმწარეს“. ზღვისპირელებს 9-ქულიანი უპირატესობა მეორეადგილოსან დინამო თბილისთან თვალსა და ხელს შუა შემოაფ-ლანგდა და ამაში ერთ-ერთი დამნაშავე ტორპედოც არის.

ჩხეტიანის გუნდმა მერაბ გიგაურის გოლით აჯობა მასწავლებლის, გია გეგუჩაძის გუნდს...

კარგა ხანს გასავარდნ ზონასთან მოტრიალე ტორპედო უკვე მესამე ადგილზეა...

**გაგრა-დინამო თბილისი 0:1**

**თბილისი. დინამო არენა**

0:1 მექვაბიშვილი (50)

**გაგრა:** ვორობეი, ხოსიტაშვილი, ნოზაძე, ჭანტურია, ქობულაძე, შეწირული (ფარულავა 46), სულთანიშვილი (ბუხაიძე 70), გვიშიანი (ხაბელაშვილი 87), შონია, დაფე (ლომინაძე 57), მაქაცარია (ლომთაძე 87)

**დინამო:** კუტალაძე, მალი (მაისურაძე 90), კალანდაძე, ტაბიძე, კობოური, მოისწრაფიშვილი (ოსიყმაშვილი 46), მექვაბიშვილი, იმრანი (ბარნსი 46), თ.კირკიტაძე, კამარა (კუცია 90), სხირტლაძე (ხვადაგიანი 68)

**გაძევება:** კირკიტაძე (6), ნოზაძე (74)

დინამომ ანზორ მექვაბიშვილის გატანილი საჯარიმო დარტყმით სძლია გაგრას. გოლი 50-ე წუთზე გავიდა. ეს მექვაბიშვილის მეოთხე გოლია სეზონში და აქედან ორი გაგრას გაუტანა.

არადა, დინამოელები მე-6 წუთიდან 10 კაცით თამაშობდნენ თორნიკე კირკიტაძის გაძევების გამო. მოედანზე რიცხობრივი თანაფარდობა 74-ე წუთზე აღდგა, როდესაც გაგრასაც გაუძევეს ლუკა ნოზაძე, მაგრამ დინამო მანამდე იგებდა.

დინამო თბილისმა ზედიზედ 7-ჯერ იმარჯვა, მეორე ადგილზეა და ერთი ქულით ჩამორჩება ლიდერ ბათუმელებს, ხოლო გაგრა მეცხრეზეა და ექვი ტურია არ მოუგია.

**თელავი-საბურთალო 0:3**

**თელავი. კავკასიონი არენა**

0:1 გოჩოლეიშვილი (24), 0:2 გულიაშვილი (48), 0:3 ნონიკაშვილი (78)

**თელავი:** სანიკიძე, კაპანაძე, გიგაშვილი (ყაველაშვილი 72), ბერიაშვილი, ფირანაშვილი (გრძელიძე 72), ვიტინიო, ქავთარაძე, ქოჩლაძე (დუნდუა 62), ფაცაცია, მუჯირი (პავიშიჩი 39), ჩუკვურა

**საბურთალო:** მეგრელიშვილი, გოჩოლეიშვილი (ჩადუნელი 64), კაკუბავა (ამბროსიძე 84), ჯგერენაია, მამაცაშვილი, ქარდავა (ო.მამაგეიშვილი 84), შ.ნონიკაშვილი, ლ.ნონიკაშვილი (გ.მამაგეიშვილი 75), ტაბატაძე, გულიაშვილი, გოშთელიანი (სიხარულიძე 64)



საბურთალომ თელავს გასვლაზე 3:0 მოუგო. სამივე გოლი საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების ფეხბურთელებმა გაიტანეს: ანგარიში გიორგი გოჩოლეიშვილმა გახსნა; მეორე ტაიმში კი – გიორგი გულიაშვილმა და შოთა ნონიკაშვილმაც დაამატეს.

თელაველები 33-ე წუთიდან 10 კაცით იყვნენ მინდორზე: რაფაელ ჩუკვურა გააძევეს. იმ დროს ანგარიში 0:1 იყო.

საბურთალო მეექვსე ადგილზეა, თელავი – მეშვიდეზე. კახელებს 8 ტურია არ მოუგიათ.

**დილა-სამგურალი 0:3**

**გორი. თენგიზ ბურჯანაძე**

0:1 დრამე (32), 0:2 სანტოსი (42), 0:3 ვიქტორი (85)

სამგურალმა დილას უმასპინძლა, 0:3 დამარცხდა და მესამე ადგილი დაკარგა.

აღსანიშნავია ისიც, რომ სამივე გოლი უცხოელებმა გაიტანეს: ანდრი დემჩენკოს გუნდიდან ჯერ ჰაჯი დრამემ, მერე კი – ალეფ სანტოსმა და ჟან ვიქტორმა გაიტანეს გოლები. ვიქტორისთვის ეს სადებიუტო გოლი იყო საქართველოში.

დილა და სამგურალი ქულებით გათანაბრდნენ, 42-42 ქულა აქვთ და, შესაბამისად, მესამე-მეოთხე ადგილებზე არიან.

**ლოკომოტივი-სიონი 2:2**

**საგურამო. ლოკო-საგურამო**

1:0 ძებნიაური (43პ), 1:1 ხორხელი (52), 2:1 მახარობლიძე (54), 2:2 ფოცხვერია (68პ)

აუტსაიდერი თბილისის ლოკომოტივი ორჯერ უგებდა ბოლნისის სიონს, მაგრამ მატჩი საბოლოოდ 2:2 დასრულდა.

ლოკო თორნიკე ძებნიაურის პენალტით დაწინაურდა. ეს პირველი ტაიმის ბოლოს მოხდა. მეორე ნახევარში ნიკა ხორხელმა გაათანაბრა, მაგრამ ერთ წუთში ლოკომოტივი ისევ წინ გავიდა – ბიძინა მახარობლიძემ გაიტანა. 68-ე წუთზე კი, ივან ფოცხვერიამ პენალტით გაათანაბრა.

სიონი მერვე ადგილზეა და ცდილობს, რომ პლეიოფს ასცდეს...

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (ბთ) | 27 | 18 | 6 | 3 | 66-21 | 60 |
| 2.დინამო (თბ) | 27 | 18 | 5 | 4 | 58-23 | 59 |
| 3.ტორპედო | 27 | 13 | 4 | 10 | 38-40 | 43 |
| 4.დილა | 27 | 12 | 6 | 9 | 33-26 | 42 |
| 5.სამგურალი | 27 | 11 | 9 | 7 | 41-31 | 42 |
| 6.საბურთალო | 27 | 10 | 7 | 10 | 41-36 | 37 |
| 7.თელავი | 27 | 6 | 11 | 10 | 25-29 | 29 |
| 8.სიონი | 27 | 6 | 10 | 11 | 28-46 | 28 |
| 9.გაგრა | 27 | 6 | 7 | 14 | 27-46 | 25 |
| 10.ლოკომოტივი | 27 | 1 | 3 | 23 | 23-82 | 6 |

## შედეგები

### 18 სექტემბერი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ბრენტფორდი-არსენალი ................0:3
ევერტონი-ვესტ ჰემი ......................1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.არსენალი | 7 | 6 | 0 | 1 | 17-7 | 18 |
| 2.სიტი | 7 | 5 | 2 | 0 | 23-6 | 17 |
| 3.ტოტენჰემი | 7 | 5 | 2 | 0 | 18-7 | 17 |
| 4.ბრაიტონი | 6 | 4 | 1 | 1 | 11-5 | 13 |
| 5.მანჩესტერი | 6 | 4 | 0 | 2 | 8-8 | 12 |
| 6.ფულემი | 7 | 3 | 2 | 2 | 12-11 | 11 |
| 7.ჩელსი | 6 | 3 | 1 | 2 | 8-9 | 10 |
| 8.ლივერპული | 6 | 2 | 3 | 1 | 15-6 | 9 |
| 9.ბრენტფორდი | 7 | 2 | 3 | 2 | 15-12 | 9 |
| 10.ნიუკასლი | 7 | 1 | 5 | 1 | 8-7 | 8 |
| 11.ლიდსი | 6 | 2 | 2 | 2 | 10-10 | 8 |
| 12.ბორნმუთი | 7 | 2 | 2 | 3 | 6-19 | 8 |
| 13.ევერტონი | 7 | 1 | 4 | 2 | 5-6 | 7 |
| 14.საუთჰემპტონი | 7 | 2 | 1 | 4 | 7-11 | 7 |
| 15.ასტონ ვილა | 7 | 2 | 1 | 4 | 6-10 | 7 |
| 16.კრ.პალასი | 6 | 1 | 3 | 2 | 7-9 | 6 |
| 17.ვულვზი | 7 | 1 | 3 | 3 | 3-7 | 6 |
| 18.ვესტ ჰემი | 7 | 1 | 1 | 5 | 3-9 | 4 |
| 19.ნოტინგემი | 7 | 1 | 1 | 5 | 6-17 | 4 |
| 20.ლესტერი | 7 | 0 | 1 | 6 | 10-22 | 1 |

**გერმანია. ბუნდესლიგა**

უნიონი-ვოლფსბურგი ......................2:0
ბოხუმი-კიოლნი ................................1:1
ჰოფენჰაიმი-ფრაიბურგი .................0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.უნიონი | 7 | 5 | 2 | 0 | 15-4 | 17 |
| 2.დორტმუნდი | 7 | 5 | 0 | 2 | 9-7 | 15 |
| 3.ფრაიბურგი | 7 | 4 | 2 | 1 | 10-5 | 14 |
| 4.ჰოფენჰაიმი | 7 | 4 | 1 | 2 | 12-7 | 13 |
| 5.ბაიერნი | 7 | 3 | 3 | 1 | 19-6 | 12 |
| 6.გლადბახი | 7 | 3 | 3 | 1 | 10-5 | 12 |
| 7.აინტრახტი | 7 | 3 | 2 | 2 | 14-13 | 11 |
| 8.მაინცი | 7 | 3 | 2 | 2 | 7-10 | 11 |
| 9.კიოლნი | 7 | 2 | 4 | 1 | 11-8 | 10 |
| 10.ვერდერი | 7 | 2 | 3 | 2 | 13-12 | 9 |
| 11.აუგსბურგი | 7 | 3 | 0 | 4 | 5-10 | 9 |
| 12.ლაიფციგი | 7 | 2 | 2 | 3 | 9-12 | 8 |
| 13.ჰერტა | 7 | 1 | 3 | 3 | 7-9 | 6 |
| 14.შალკე | 7 | 1 | 3 | 3 | 8-14 | 6 |
| 15.ლევერკუზენი | 7 | 1 | 2 | 4 | 9-12 | 5 |
| 16.შტუტგარტი | 7 | 0 | 5 | 2 | 7-10 | 5 |
| 17.ვოლფსბურგი | 7 | 1 | 2 | 4 | 5-12 | 5 |
| 18.ბოხუმი | 7 | 0 | 1 | 6 | 5-19 | 1 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ფიურტი-პადერბორნი ....................2:1
ჰაიდენჰაიმი-კაიზერი ......................2:2
რეგენსბურგი-ზ.პაული ....................2:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ოსასუნა-ხეტაფე ............................0:2
ვილირეალი-სევილია .......................1:1
ბეტისი-ხირონა ..................................2:1
სოსიედადი-ესპანიოლი ....................2:1
ატლეტიკო-რეალი ............................1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 6 | 6 | 0 | 0 | 17-6 | 15 |
| 2.ბარსელონა | 6 | 5 | 1 | 0 | 18-1 | 16 |
| 3.ბეტისი | 6 | 5 | 0 | 1 | 10-4 | 15 |
| 4.ბილბაო | 6 | 4 | 1 | 1 | 12-4 | 13 |
| 5.ოსასუნა | 6 | 4 | 0 | 2 | 7-5 | 12 |
| 6.ვილიარეალი | 6 | 3 | 2 | 1 | 10-2 | 11 |
| 7.ატლეტიკო | 6 | 3 | 1 | 2 | 10-6 | 10 |
| 8.სოსიედადი | 6 | 3 | 1 | 2 | 7-8 | 10 |
| 9.ვალენსია | 6 | 3 | 0 | 3 | 10-5 | 9 |
| 10.მალიორკა | 6 | 2 | 2 | 2 | 6-7 | 8 |
| 11.ხირონა | 6 | 2 | 1 | 3 | 7-7 | 7 |
| 12.სელტა | 6 | 2 | 1 | 3 | 8-13 | 7 |
| 13.ხეტაფე | 6 | 2 | 1 | 3 | 6-12 | 7 |
| 14.რაიო | 6 | 2 | 1 | 3 | 7-8 | 7 |
| 15.სევილია | 6 | 1 | 2 | 3 | 7-11 | 5 |
| 16.ვალიადოლიდი | 6 | 1 | 1 | 4 | 3-11 | 4 |
| 17.ალმერია | 6 | 1 | 1 | 4 | 4-7 | 4 |
| 18.ესპანიოლი | 6 | 1 | 1 | 4 | 7-12 | 4 |
| 19.კადისი | 6 | 1 | 0 | 5 | 1-14 | 3 |
| 20.ელჩე | 6 | 0 | 1 | 5 | 2-16 | 1 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ლეგანესი-ბურგოსი..........................0:0
ალავესი-უესკა .................................2:1
რასინგი-ლას პალმასი ......................0:0
ალბასეტე-პონფერადინა ..................0:1

**იტალია. სერია ა**

უდინეზე-ინტერი ..............................3:1
კრემონეზე-ლაციო ............................0:4
მონცა-იუვენტუსი .............................1:0
ფიორენტინა-ვერონა .........................2:0
რომა-ატალანტა .................................0:1
მილანი-ნაპოლი ..................................1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.უდინეზე | 7 | 5 | 1 | 1 | 15-7 | 16 |
| 2.ნაპოლი | 7 | 5 | 2 | 0 | 15-5 | 17 |
| 3.ატალანტა | 7 | 5 | 2 | 0 | 11-3 | 17 |
| 4.ლაციო | 7 | 4 | 2 | 1 | 13-5 | 14 |
| 5.მილანი | 7 | 4 | 2 | 1 | 13-8 | 14 |
| 6.რომა | 7 | 4 | 1 | 2 | 8-7 | 13 |
| 7.ინტერი | 7 | 4 | 0 | 3 | 13-11 | 12 |
| 8.იუვენტუსი | 7 | 2 | 4 | 1 | 9-5 | 10 |
| 9.ტორინო | 7 | 3 | 1 | 3 | 6-7 | 10 |
| 10.ფიორენტინა | 7 | 2 | 3 | 2 | 7-6 | 9 |
| 11.სასუოლო | 7 | 2 | 3 | 2 | 5-8 | 9 |
| 12.სპეცია | 7 | 2 | 2 | 3 | 7-11 | 8 |
| 13.სალერნიტანა | 7 | 1 | 4 | 2 | 10-8 | 7 |
| 14.ემპოლი | 7 | 1 | 4 | 2 | 6-7 | 7 |
| 15.ბოლონია | 7 | 1 | 3 | 3 | 7-10 | 6 |
| 16.ლეჩე | 7 | 1 | 3 | 3 | 6-8 | 6 |
| 17.ვერონა | 7 | 1 | 2 | 4 | 6-13 | 5 |
| 18.მონცა | 7 | 1 | 1 | 5 | 4-14 | 4 |
| 19.კრემონეზე | 7 | 0 | 2 | 5 | 5-14 | 2 |
| 20.სამპდორია | 7 | 0 | 2 | 5 | 4-13 | 2 |

**იტალია. სერია ბ**

ტერნანა-პერუჯა ...............................1:0

**საფრანგეთი. ლიგა 1**

რეიმსი-მონაკო .................................0:3
ბრესტი-აიაჩო ...................................0:1
კლერმონი-ტრუა ..............................1:3
მარსელი-რენი ..................................1:1
ნიცა-ანჟე ........................................0:1
ნანტი-ლანსი ....................................0:0
ლიონი-პსჟ .......................................0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 8 | 7 | 1 | 0 | 26-4 | 22 |
| 2.მარსელი | 8 | 6 | 2 | 0 | 16-5 | 20 |
| 3.ლორიანი | 8 | 6 | 1 | 1 | 17-12 | 19 |
| 4.ლანსი | 8 | 5 | 3 | 0 | 16-7 | 18 |
| 5.მონაკო | 8 | 4 | 2 | 2 | 13-12 | 14 |
| 6.ლიონი | 8 | 4 | 1 | 3 | 16-10 | 13 |
| 7.ლილი | 8 | 4 | 1 | 3 | 16-16 | 13 |
| 8.რენი | 8 | 3 | 3 | 2 | 14-8 | 12 |
| 9.მონპელიე | 8 | 4 | 0 | 4 | 19-15 | 12 |
| 10.ტრუა | 8 | 3 | 1 | 4 | 14-16 | 10 |
| 11.კლერმონი | 8 | 3 | 1 | 4 | 9-13 | 10 |
| 12.ნიცა | 8 | 2 | 2 | 4 | 5-9 | 8 |
| 13.ტულუზა | 8 | 2 | 2 | 4 | 9-13 | 8 |
| 14.ანჟე | 8 | 2 | 2 | 4 | 9-18 | 8 |
| 15.ნანტი | 8 | 1 | 4 | 3 | 8-11 | 7 |
| 16.ოსერი | 8 | 2 | 1 | 5 | 8-19 | 7 |
| 17.რეიმსი | 8 | 1 | 3 | 4 | 10-17 | 6 |
| 18.სტრასბური | 8 | 0 | 5 | 3 | 6-9 | 5 |
| 19.ბრესტი | 8 | 1 | 2 | 5 | 8-18 | 5 |
| 20.აიაჩო | 8 | 1 | 1 | 6 | 4-11 | 4 |

**ნიდერლანდები. ერედივიზიონი**

იგლზი-ემენი ....................................2:0
პსვ-ფეიენოორდი .............................4:3
ჰერენვენი-ტვენტე ...........................2:1
ალკმაარი-აიაქსი .............................2:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

აროუკა-გიმარაეში ............................2:2
ბენფიკა-მარიტიმუ ...........................5:0
კასა პია-ფამილიკაუ .........................1:0
ბრაგა-ვიზელა ...................................2:0

**ბელგია. ა დივიზიონი**

გენკი-გენტი ......................................1:0
ეუპენი-სენ ჟილუა .............................1:2
სტანდარდი-ბრიუგე ...........................3:0
ანდერლეხტი-კორტრაიკი ..................4:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

აუსტრია-რიდი ...................................3:0
შტურმი-ლუშტენაუ ............................2:0
ზალცბურგი-რაპიდი ...........................1:1

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

სტ.მირენი-სელტიკი ..........................2:0
მოზერველი-ჰართსი ...........................0:3

**თურქეთი. სუპერლიგა**

ბაშაქშეჰირი-ქარაგუმრუქი ..............0:0
ტრაბზონი-გაზიანთები .......................3:2
ანკარაგიუჯიუ-სივასი ........................2:1

**ანკარაგიუჯიუს პირველი გოლი გიორგი ბერიძემ გაიტანა.**

ფენერბახჩე-ალანია ............................5:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ლევადიაკოსი-ასტერასი ....................1:1
ოფი-პაოკი ........................................1:1
არისი-ოლიმპიაკოსი ..........................2:1
ვოლოსი-იონიკოსი .............................2:0

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ჰრადეც კრალოვე-ზლინი ...................0:0
პარდუბიცე-ბოჰემიანსი 1905 ...........0:1
სლოვაცკო-იაბლონეცი .......................0:2
პლზენი-სლავია ..................................3:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

კორონა-გურნიკი ...............................1:2
ზაგლებიე-პლოცკი ............................2:1
ვარტა-ლეხი .......................................0:1

**დანია. სუპერლიგა**

ლუნგბიუ-ოდენსე ..............................0:2
რანდერსი-სილკებორგი .....................3:2
ვიბორგი-ბრონდბიუ ...........................0:0
მიდტიულანდი-კოპენჰაგენი ..............2:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

მიალბი-სუნდსვალი ...........................1:1
ჰელსინბორგი-მალმიო .......................1:2
ელფსბორგი-სირიუსი .........................3:0
აიკი-დეგერფორსი .............................1:1
დიურგარდენი-გიოტებორგი ...............3:0

**ნორვეგია. ელიტსერია**

ბოდო-ჰაუგესუნდი ...........................1:1
ვიკინგი-ტრომსო ...............................2:2
ვალერენგა-სანდერფიორდი ..............4:0
რუსენბორგი-ლილესტრიომი .............3:1
სარპსბორგი-ერვი ............................4:3
სტრომგოდსეტი-კრისტიანსუნი .........4:1
მიოლდე-ალესუნდი ...........................3:0

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

**სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.**

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნილბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 2. ბუნებრივი ნაკრძალი ქვემო ქართლში; 3. კიდულ ლიანდაგზე მოძრავი ტვირთის ასაწევი მექანიზმი; 4. ისტორიული ფსიქიატრიული საავადმყოფო ლონდონში; 5. ავადმყოფობის სიმპტომების დროებითი შესუსტება; 7. მე-17 საუკუნეში მოღვაწე ქართველი დიპლომატი ქალი; 11. მდინარე ოზურგეთში; 12. ნიდერლანდების ფეხბურთელთა გუნდი; 3. ავსტრალიური სირაქლემა; 14. პერიოდულად ამოფრქვევადი ცხელი წყლის წყარო; 15. უკრაინის კარპატებში მცხოვრებ ეთნიკური ჯგუფის ხალხთა წარმომადგენელი; 17. ყველაზე მაღალი ჩანჩქერი მსოფლიოში; 19. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში.

**თარაზულად:** 5. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; 6. საყოფაცხოვრებო ელექტროტექნიკის მწარმოებელი სლოვენიური ფირმა; 8. ყაჩაღის ძველი ქართული სახელწოდება; 9. ქართველი მათემატიკოსი, აკადემიკოსი; 10. აზერბაიჯანული ნავთობკომპანია; 11. დანიელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 13. უდაბნო აფრიკის სამხრეთში; 14. შამპანურის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 16. მარდი, მამაცი მამაკაცის ძველებური სახელწოდება საქართველოში; 18. აეროპორტი პეკინში; 20. მოხეტიალე მომღერალ-მუსიკოსი ძველ საბერძნეთში; 21. უთავბოლო, მომაბეზრებელი ლაპარაკი, ყბედობა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. იტაიპუ; 2. ზარზმა; 3. იდიში; 5. რელე; 6. ლატიფი; 8. ორტეგა; 11. ენციკლიკა; 13. ვენეცია; 14. სუფიქსი; 15. ფოცხოვი; 19. ნიკე.

**თარაზულად:** 1. ინკვიზიცია; 4. სუფრული; 7. აგუძერა; 9. შევროლე; 10. ჩექმა; 12. პრესინგი; 16. საზამთრო; 17. ანაკლია; 18. კინგსტონი; 20. კამპუსი; 21. მახა; 22. ოპონენტი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. საუბარი; 2. ეგრისი; 3. პორტერი; 4. დიაფანი; 5. კალიბრი; 7. ჩარტერი; 11. ჯანლი; 12. მინდია; 13. რემარკი; 14. იპოთეკა; 15. დიბალა; 17. რეგატა; 19. მწდე.

**თარაზულად:** 5. კონუნგი; 6. ფოლორცი; 8. სარი; 9. ტესლა; 10. ბეტისი; 11. ჯილა; 13. რილსინგი; 14. იანკი; 16. პრადო; 18. ოჩანი; 20. კარდენი; 21. ლაქტოზა.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


20 სექტემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.8412

ევრო — 2.8364

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.2319

100 რუსული რუბლი — 4.7095

## ამინდის პროგნოზი 20 სექტემბრისთვის




## ხვიჩა კვარაცხელიამ ამჯერად მილანთან გაიბრწყინა



ხვიჩა კვარაცხელიამ მილანის წინააღმდეგ ძალიან კარგი შეხვედრა ჩაატარა და ნაპოლის პირველი გოლი მის მიერ გამომუშავებულ თერთმეტმეტრიანს მოჰყვა. გარდა ამისა, ხვიჩა მთელი მატჩის მანძილზე აქტიური იყო და მან მეტოქე გუნდის მცველები გააწამა. კვარაცხელიას მთელი იტალია აქებს და მან უკვე თითქმის ყველას ყურადღება მიიქცია. მილანის მთავარმა მწვრთნელმა სტეფანო პიოლიმ აღნიშნა, რომ კვარაცხელია დიდებული ფეხბურთელია.

## ხავი: „ბარსელონას დიდი პოტენციალი აქვს“



ბარსელონას მთავარმა მწვრთნელმა ხავი ერნანდესმა განაცხადა, რომ მის გუნდს ჯერ თავისი პოტენციალი ბოლომდე არ უჩვენებია და მათ კიდევ შეუძლიათ მოუმატონ, თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით წავა: „როდესაც ჩემი გუნდის თამაშებს ვუყურებ, ეს სიამოვნებას მანიჭებს და მინდა, რომ ბარსელონამ კიდევ უფრო მეტი გულშემატკივარი გაახაროს და სეზონის ბოლოს ტიტულები მოვიგოთ. ვიცი, რომ ეს შეგვიძლია“.

## დიეგო სიმეონე: „მეორე ტაიმი უკეთესად ვითამაშეთ“



მადრიდის ატლეტიკო საკუთარ მოედანზე რეალთან დამარცხდა 1:2 და მატჩის შემდეგ დიეგო სიმეონემ განაცხადა, რომ მისი გუნდი მარცხს არ იმსახურებდა და მათ უკეთესი შედეგის დაფიქსირება შეეძლოთ: „ვფიქრობ, რომ მეორე ტაიმში კარგი თამაში ვაჩვენეთ და მინდა, რომ გუნდმა ასეთი სტილი შეინარჩუნოს. თუ ასე მოხდა, მაშინ მომავალ მატჩებში კარგი შანსი გვაქვს“.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი

●●●

ბაღში კაცი სკამზე დამწუხრებული სახით ზის. მასთან მეორე მივიდა და ეკითხება:

– რა მოხდა მეგობარო, რატომ გაქვს ასეთი სახე?

– გვერდით დამიჯექი და გეტყვი.

კაცი დაჯდა.

– საქმე ისაა, რომ ეს სკამი ახალი შეღებილია...

●●●

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

– ერთდროულად ორ მამაკაცს ვხვდები და არ ვიცი, რომელი შევარჩიო...

– და გული რას გეუბნება?

– რა და, შეეშვი, თორემ ქმარმა თუ გაიგო, მოგკლავს!

●●●

ერთი ქალი მეორეს შესჩივის:

– როგორც კი სარეცხს გავფენ, მაშინვე წვიმა უნდა დაიწყოს!

– მე კი ამინდის ჩემი განსაზღვრა მაქვს და არასოდეს ვტყუვდები.

– ეგ როგორ?

– დილით საბანს ვწევ და ქმრის ღირსებას ვუყურებ, თუ მარჯვნივაა – იწვიმებს, თუ მარცხნივ – დარი იქნება.

– და თუ დგას?

– მაშინ რა დროს სარეცხია?!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## მიშა გომიაშვილი მახათას პანთეონში დაკრძალეს



თეატრისა და კინოს მსახიობი მიშა გომიაშვილი მახათას მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს.

61 წლის ასაკში გარდაცვლილ მსახიობს კოლეგები, მეგობრები, რიგითი თაყვანისმცემლები მარჯანიშვილის თეატრში გამოემშვიდობნენ. მიშა გომიაშვილი მშობლიური თეატრიდან ტაშის თანხლებით გამოასვენეს.

მსახიობმა მთელი ცხოვრება ქართულ თეატრსა და კინოს მიუძღვნა. მის მიერ შესრულებული თეატრალური თუ კინო როლები ათასობით ერთგულმა მაყურებელმა განსაკუთრებულად შეიყვარა. თეატრალურ კარიერაში მისი შემოქმედების სავიზიტო ბარათად სპექტაკლი „მარადი ქმარი“ ითვლება, ხოლო კინოკარიერაში ფილმი „პრეზიდენტი“, თუმცა ამ საკითხზე მისი გულშემატკივრების აზრი მრავალფეროვანია, რადგან მიშა გომიაშვილი თავისი ნიჭიერებითა და განსაკუთრებული არტისტიზმით მაყურებელს ყველა ფილმსა თუ სპექტაკლში მოსწონს.

## ნანა ლორთქიფანიძე ტელეწამყვანი გახდა



მსახიობი ნანა ლორთქიფანიძე ტელეწამყვანი გახდა. რეჟისორ გიგა ლორთქიფანიძისა და მსახიობ ქეთევან კიკნაძის შვილი ამიერიდან ტელემაყურებელს „იმედის“ ეთერიდან მიესალმება.

„რა სურთ ქალებს?!“ – როგორ დავიწყოთ ცხოვრება ახლიდან?! – ასე ჰქვია ნანა ლორთქიფანიძის რუბრიკას, სადაც იგი სტუმრებთან ერთად სხვადასხვა საინტერესო თემაზე ისაუბრებს.

## საქართველოს პენცენტრს ივა ფეზუაშვილი უხელმძღვანელებს



საქართველოს პენცენტრში ხელმძღვანელის თანამდებობაზე დასანიშნად არჩევნები გაიმართა, სადაც წარდგენილი იყო ორი კანდიდატი: გიორგი მაისურაძე და ივა ფეზუაშვილი. ერთ-ერთმა კანდიდატმა, ერეკლე დეისაძემ საკუთარი კანდიდატურა მოხსნა.

პროცედურების თანახმად, კანდიდატებმა წარმოადგინეს თავიანთი სამოქმედო პროგრამის თეზისები და დამატებით უპასუხეს წევრების კითხვებს სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით. ამის შემდგომ უშუალოდ ხმის მიცემის პროცესი ჩატარდა. ხმათა უმრავლესობით ივა ფეზუაშვილმა გაიმარჯვა.

ივა ფეზუაშვილი ლიტერატურული პრემია „საბას“, წინანდლის პრემიისა და ევროკავშირის ლიტერატურული პრემიის ლაურეატია.

საქართველოს პენცენტრი მწერალთა საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელიც მწერალთა გამოხატვის თავისუფლებას იცავს. ორგანიზაციის პრეზიდენტის თანამდებობაზე ივა ფეზუაშვილმა პაატა შამუგია შეცვალა, რომელიც 2018 წელს აირჩიეს ამ პოზიციაზე. პაატა შამუგიამდე კი საქართველოს პენცენტრს რატი ამაღლობელი ხელმძღვანელობდა.

# თბილისის კონსერვატორიას როიალები გადაეცა




თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიას წლებია ინსტრუმენტების დეფიციტი აწუხებს. კონსერვატორიას მსოფლიოში აღიარებული მწარმოებლის „სტეინვეი ენდ სანს“-ის 9 როიალი გადაეცა. როგორც ინსტურმენტების გადაცემის დროს გახდა ცნობილი, წლის ბოლომდე თბილისის კონსერვატორია კიდევ 8 როიალს მიიღებს. მთლიანობაში სასწავლებელს სტეინვეის ფირმის 78 სხვადასხვა მოდელის როიალი ეტაპობრივად გადაეცემა და ეს პროცესი 2025 წლის ბოლომდე გაგრძელდება.

50 წელზე მეტია, რაც სახელმწიფოს მიერ კონსერვატორიის როიალების ფონდი არ განახლებულა. მოცემული საკითხის გადაჭრის ინიციატივით, გასულ წელს, კულტურის მინისტრი თეა წულუკიანი გამოვიდა.

კომპანია სტეინვეისთან მოლაპარაკებებს მინისტრის პირველი მოადგილე კახა სიხარულიძე აწარმოებდა.

– სტეინვეისთან წარმატებული და სახელმწიფო ინტერესზე მორგებული მოლაპარაკებების შემდეგ, ჩვენ ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს მსოფლიოში ასევე აღიარებულ მწარმოებელთან, ბეხშტაინთან. ვინაიდან, სამწუხაროდ, მუსიკალური ინსტრუმენტების დეფიციტი არა მხოლოდ კონსერვატორიას, არამედ ნიჭიერთა ათწლედს, ევგენი მიქელაძის სახელობის სასწავლებელს, საოპერო თეატრებსა და ჩვენს ორკესტრებსაც აწუხებთ. ვფიქრობთ, ამ ორ კომპანიასთან თანამშრომლობის შედეგად და საქართველოს მთავრობის ხელშეწყობით შევძლებთ, რომ მომავალ თაობებს სახელოვნებო განათლების მიღებისათვის სათანადო პირობები შევუქმნათ, – განაცხადა მინისტრის პირველმა მოადგილემ, კახა სიხარულიძემ.

მოლაპარაკებების დაწყებას განსაკუთრებულად შეუწყო ხელი ქართველ-ამერიკელმა პიანისტმა და კომპოზიტორმა, ცნობილმა ხელოვანმა, გიორგი ლაცომ.

მოლაპარაკებების შედეგად და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ხელშეწყობით, კულტურის სამინისტროს მიერ მსოფლიოში აღიარებულ მწარმოებელთან გაფორმდა რამდენიმეწლიანი სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, კონსერვატორიას გადაეცემა ჯამში 78 როიალი: – 17 როიალი 2022 წელს, ხოლო 61 როიალი – 2023-2025 წლებში, კონსერვატორიის მიერ განსაზღვრული მოდელებისა და ოდენობების მიხედვით ყოველწლიურად.

შეკვეთილი როიალები სხვადასხვა დანიშნულების იქნება. კონსერვატორიისთვის უკვე გადაცემული როიალებიდან 5 სამუშაოა, 2 ნახევრად საკონცერტო და 2 – კამერული ანსამბლისთვისაა. როიალების მოწოდებასთან ერთად, კომპანია ვალდებულებას იღებს, საქართველოში კომპანიის ინჟინრები პერიოდულად გამოაგზავნოს, რომლებიც, როგორც როიალების მოწოდებისას, ასევე შემდგომ, უფასოდ უზრუნველყოფენ ინსტრუმენტის გამართვას – აწყობასა და ტექნიკურ შემოწმებას. ისინი უფასოდ უზრუნველყოფენ ადგილობრივი სპეციალისტების ამწყობების მომზადება/გადამზადებასაც. ამწყობის პროფესია, არაერთი წელია, საქართველოში დეფიციტს წარმოადგენს.

– სტეინვეის კომპანიის მრავალწლიან ისტორიაში, მოცემული შესყიდვა უპრეცედენტოდ ითვლება ევროპის მასშტაბით, რაც ბუნებრივიცაა, ვინაიდან საქართველოს მოცემული შესყიდვების მიმართულებით 50-წლიანი წყვეტა ჰქონდა. ამ პერიოდში ჩვენი ქვეყანა და თაობები ნგრევის, ოკუპაციის, არაერთი ომის, სამოქალაქო დაპირისპირებისა და მძიმე წლების მომსწრენი შევიქენით და მუსიკალური ინსტრუმენტების ფონდის შესავსებად, რასაკვირველია, ვერც მოვიცლიდით. ახლა, დადგა დრო, რომ სახელმწიფომ მუსიკოსთა მრავალი თაობის ოცნება აასრულოს და მათ საჭიროებებს სათანადოდ უპასუხოს, – განაცხადა კულტურის მინისტრმა.

მუსიკალური ინსტრუმენტების დეფიციტის მხრივ, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა ევგენი მიქელაძის სახელობის თბილისის ცენტრალურ სამუსიკო სასწავლებელში, სადაც მუსიკალური ინსტრუმენტებით აღჭურვა ბოლოს გასული საუკუნის 70-იან წლებში განხორციელდა. გორის სამუსიკო კოლეჯში, 1971 წლის შემდგომ, კოლეჯს ახალი ინსტრუმენტი არ შეუძენია, რუსთავის სამუსიკო სასწავლებელში 60-იანი წლების შემდგომ, ინსტრუმენტები არ განახლებულა. იგივე მდგომარეობაა საქართველოს სხვა სახელოვნებო სასწავლებლებში.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

20 სექტემბრისთვის



**ვერძი** – დაგროვილი საქმეების მოსაგვარებლად შესაფერისი დღეა. ინიციატივის გამოჩენა მოგიწევთ. **კურო** – საქმიან პარტნიორებთან, ნათესავებთან ურთიერთობა რთულდება. ემოციების გამოხატვისაგან თავი შეიკავეთ და თქვენი მოვალეობები მშვიდად შეასრულეთ. **ტყუპები** – წვრილმანი გაუგებრობები გაღიზიანებთ. გრძნობებს ნუ აჰყვებით. ყველაფერი თავისთავად დალაგდება. **კირჩხიბი** – დასკვნების გამოტანას ნუ იჩქარებთ. გადაწყვეტილება მხოლოდ მაშინ მიიღეთ, როცა სიტუაციაში ბოლომდე გაერკვევით. **ლომი** – შემოქმედებითი პოტენციალი იზრდება. ნებისმიერი საქმე იოლად და ძალდაუტანებლად გამოგდით. საინტერესო მოვლენებით დატვირთული დღეა. **ქალწული** – მიზნისკენ სწრაფვისას აჩქარება არ ივარგებს. ამან, შესაძლოა, ნერვული დაძაბულობა გამოიწვიოს. სიმშვიდე შეინარჩუნეთ. **სასწორი** – კეთილისმყოფელი, გაწონასწორებული დღეა. გელით ახალი რომანტიკული ურთიერთობა. **ღრიანკალი** – სავარაუდოდ, ფინანსური მდგომარეობა უარესდება. ფული ძალზე ეკონომიურად ხარჯეთ. ოჯახურ ფასეულობებს გაუფრთხილდით. **მშვილდოსანი** – საკმაოდ კარგი და მშვიდი დღეა. სამოგზაუროდ წასვლა, აქტიური დასვენება გაგახალისებთ. იყავით გულუხვი და დიდსულოვანი. **თხის რქა** – საკუთარი პოზიციების დაცვა სავალდებულოა. ემოციების აყოლა საქმეში ხელს შეგიშლით. **მერწყული** – შემოქმედებით საქმიანობაში დაბნეულობა და უყურადღებობა დაუშვებელია. სხვისი გავლენის ქვეშ ნუ მოექცევით. **თევზები** – ახალგაცნობილ ადამიანთან ურთიერთობა, მოგზაურობა, გარემოს შეცვლა პოზიტიურად განგაწყობთ. გიმახვილდებათ ინტუიცია.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი კორეული გემთმშენებელი კომპანია; 2. კანის ანთებითი დაავადება; 3. ხის ზედა განტოტვილი ნაწილი; 5. მინერალური წყლების ძველი ქართული სახელწოდება; 6. აეროპორტი ნიუ იორკში; 8. მგალობელი ჩიტი; 11. სასტუმრო „თბილისი-მარიოტის“ ძველი სახელწოდება; 13. ყურძნის შაქარი; 14. ქართველი მევიოლინე ქალი; 15. ხორვატიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი; 19. ვენეციისა და გენუის რესპუბლიკების მმართველთა ტიტული.

**თარაზულად:** 1. აზერბაიჯანული ოპერის ფუძემდებელი კომპოზიტორი; 4. უნგრული არმიის ძველი სახელწოდება; 7. მუსლიმანთა რელიგიური დღესასწაული; 9. ინდონეზიის დედაქალაქი; 10. მუსლიმანთა სულიერი წინამძღვარი, მოძღვარი; 12. უსაფუძვლო, განუხორციელებელი პროექტი, გეგმა; 16. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 17. პირობითი ნიშანი გეოგრაფიულ რუკაზე; 18. ვიქტორ ჰიუგოს რომანის „პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის“ პერსონაჟი; 20. დაჩეჩილი მატყლი წმინდა შალის ქსოვილის დასამზადებლად; 21. ესპანელი სიურეალისტი მხატვარი; 22. კომედიური ჟანრის მუსიკალურ-სცენური ნაწარმოები.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

